ახალი მთვარე

№17 მარტი-აპრილი

რელიგიური-საგანმანათლებლო ჟურნალი

2 სულიერების ზეიმი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში

6 როგორი უნდა იყოს მუსლიმი ქალი?

16 ნამაზის საოცრებანი

26 ქართლის მუსლიმი მეფე – დავით XI ანუ დაუდ-ხანი

სახუქრად „ახალი მთვარის“ მკითხველს

ახალი მთვარე
რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი
№17 მარტი-აპრილი

ISSN 1987-6106

UDC (უაკ) 2-472 ა-984

გამომცემელი:
ა(ა)იპ-„ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება"

მთავარი რედაქტორი
თემურ გორგაძე

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი კამლაძე
ბადრი შანთაძე
გელა გოგიტიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი:
Worldpublishings
რასიმ შაქიროღლი

მარკეტინგის მენეჯერი:
გურამ ხოზრევანიძე

კორექტორი:
მზია შანთაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორები თავად აგებენ პასუხს მათ მიერ მოყვანილი ფაქტების, არგუმენტებისა და ციტატების სიზუსტეზე. მასალების გადაბეჭდვა ნებადართულია რედაქციასთან შეთანხმებით. რედაქცია ვალდებულია, გამოუქვეყნებელი მასალები, პირველი მოთხოვნისთანავე, გადასცეს პირადად ავტორს.

მისამართი:
ქ. ბათუმი, ქუთაისის ქუჩა №-33
ტელ. ფაქსი: (822) 7 69 04
ელ. ფოსტა: info@muslim.ge

დაიბეჭდა:
შპს „თბილისელებში"

მისამართი:
ქ. თბილისი, ასლანიძის ქუჩა №-14
ტელ: 8 (32) 336 336
ელ. ფოსტა: baluka71@mail.ru

სარჩევი

2. სულიერების ზეიმი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში
მიხეილ გელაძე

6. როგორი უნდა იყოს მუსლიმი ქალი?
გელა გოგიტიძე

9. ადამიანის ღირსება
გურამ ხოზრევანიძე

12. ისლამის პირველი წლები
თემურ გორგაძე

16. ნამაზის საოცრებანი
გელა გოგიტიძე

17. ქსიანეს დიდი მეჩეთი ჩინეთში
გურამ ხოზრევანიძე

18. წმინდა იდრის შუამავალი
გელა გოგიტიძე

20. შეიყვარე და შეიძულე ალლაჰის გამო
თემურ გორგაძე

20. დავით XI ანუ „დაუთ-ხანი"
მიხეილ გელაძე

28. აბდესი

30. გპასუხობთ თეოლოგი

31. აიათები და ჰადისები

32. ხოჯა ნასრედინის ოხუნჯობანი

33. იცით თუ არა, რომ?

34. ავტომობილი უსინათლოთათვის

35. უმკლავებო პიანისტმა პირველობა არავის დაუთმო

35. მარტოდმარტო მცხოვრები ინგლისელი ქალის გვამი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ აღმოაჩინეს

35. ესეც ჩინეთის კონტრდაზვერვის ახალი პროექტი

36. სუდოკუ

37. საბავშვო გვერდი

38 - საბავშვო ტესტები

38 - ლაბირინთი

39 - რისთვის გამოიყენებენ ცხოველები კუდს?

39 - იპოვეთ 7 განსხვავება!

40 - აბა, გამოიცანით!

სულიერების ზეიმი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში

წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ﷺ) დაბადების 1440 წლისთავი

მიხეილ გელაძე

მიმდინარე წლის 15 თებერვალს აჭარის ა.რ. სამუფთომ მუსლიმ მრევლთან ერთად, წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ﷺ) დაბადების 1440 წლისთავი აღნიშნა.

ამ დღის გათენებას ხალხი მოუთმენლად ელოდა. წელს თებერვალმა საქართველოში, განსაკუთრებით, ცუდი ამინდი მოიტანა. მაღალმთიან რაიონებში თოვლის საფარმა 4-5 მეტრს მიაღწია, საავტომობილო გზები ჩაიკეტა, ხალხს გადაადგილება გაუჭირდა. რამდენიმედღიანმა თოვამ და წვიმამ ზამთრის ფონი დაამძიმა. ქალაქისთვის უჩვეულო, ფაფუკმა თოვლმა ბათუმი თავისებურად გადააქცია. ქალაქი საზეიმო განწყობით სუნთქავდა.

... და აი, გათენდა, კიდეც, 15 თებერვალი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ქალაქ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ღონისძიებაზე დამსწრეთ ვერ იტევდა. თეატრის სცენაზე საგანგებოდ გაფორმებული აფიშა ყველას ამცნობდა, რომ ამ კედლებში დღეს წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დაბადების 1440 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი უნდა გამართულიყო. ღონისძიება აჭარის ა. რ. სამუფთოს ეგიდითა და ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით დღის 3 საათზე დაიწყო.

საზეიმო ცერემონიალს ქალაქისა და სხვადასხვა რაიონების სასულიერო პირებთან ერთად აჭარის მთავრობის, უზენაესი საბჭოს, ქალაქის მერიისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საზეიმო შეკრების მონაწილეების წინაშე, თავდაპირველად, ყურანის ზეპირმცოდნე **მურად ქამაშიძე** გამოვიდა, რომელმაც წმინდა წიგნიდან რამდენიმე აიათი წაიკითხა.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და დამსწრეთ ძვირფასი დღესასწაული

მიულოცა აჭარის ა.რ სამუფთოს საქმეთა მმართველმა **მიხეილ გელაძემ:**

მან განაცხადა: „სამყაროს გარდაქმნისა და კაცობრიობის ცივილიზაციის მწვერვალზე ასაყვანად, უდიდესი მისია იტვირთა უზენაესი ალლაჰის ნებით დედამიწაზე მოვლენილმა წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ, რომელმაც ადამიანი ისეთ ზნეობრივ ჩარჩოში მოაქცია, რომ დღეს, XXI-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, სახეზეა ურთულესი და უძვირფასესი მონაპოვარი, მაღალზნეობრივი იდეალებითა და სულიერებით აღსავსე, განათლებული და ერუდირებული ფენომენი „ახალი ადამიანი.“

მიხეილ გელაძემ თავისი გამოსვლა შემდეგი ლექსით გააგრძელა:

„ადამიანო, გახსოვდეს, რწმენა ძვირფასი ქვაა,

ისლამის ყოველი სიტყვა ყურანით ჩასუნთქვაა,

ის თუ გექნება, იცოდე, გული უშრეტი ზღვაა,

ბნელში დატოვებ, იხილავ, სულ მალე იგი სხვაა...“

მან გამოსასვლელი სიტყვა, ისევ, საკუთარი პოეზიის ენით გააგრძელა და წმინდა მუჰამმედ შუამავლისადმი ﷺ მიძღვნილი რამდენიმე სტრიქონი წაგვიკითხა:

შუამავალო, წყალობად მთელ დედამიწას წვეულო,

კაცობრიობის მხსნელო და ქველმოქმედებას ჩვეულო,

ოკეანე ხარ სიბრძნისა, მართლაც „ცოცხალი ყურანი“,

გამოაფხიზლე სამყარო, გაფანტე ძილი, ბურანი,

მარგალიტებად აფრქვიე ჰადისები და სურანი,

შენ შეარიგე ხალხები, სხვადასხვა ტომი, ჯურანი,

წინ, სამოთხისკენ აქროლე შენი ფრთოსანი ქურანი,

იქაც ვარდები გვაბნიე, შემოგვაგებე ყურანი...

ღონისძიების წამყვანმა მისასალმებელი სიტყვა გადასცა აჭარის ა.რ. მუფთს **ჯემალ პაქსაძეს**, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ, როგორც ისლამის ჭეშმარიტი მიმდევრები, უდიდეს პატივს მივაგებთ უზენაესი ალლაჰის მიერ დედამიწაზე გამოგზავნილ ყველა შუამავალს: წმინდა ადამს, ნუს, სულეიმანს, მუსას, ისას და სხვებს, რომელთა შესახებაც უზენაესი ალლაჰი წმინდა ყურანში ბრძანებს:

„ო, ადამიანებო! უეჭველად, ჩვენ ერთი მდედრისა და ერთი მამრისგან გაგაჩინეთ, და დაგყავით ხალხებად და ტომებად, რათა ერთმანეთი (გა)გეცნოთ. უთუოდ თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიში, ალლაჰის წინაშე ყველაზე უფრო პატივდებულია.“ *(სურა ჰუჯურათი, აიათი13.)* წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ მასზე ადრე მოვლენილ 124 ათას შუამავალზე ძვირფასი, მათთვის ცნობილი თუ უცნობი თვისებების მატარებელი, მის მიერ გაჩენილ ადამიანთა შორის

ყველაზე საყვარელი და სრულყოფილი ადამიანია. უზენაესმა ალლაჰმა ის უკანასკნელ შუამავლად გამოგზავნა დედამიწაზე და მისი სახელი კაცობრიობას არასდროს დაავიწყდება. *კაცობრიობის ისტორიაში წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ ერთადერთი ადამიანია, ვისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დეტალი დაწვრილებით იქნა შესწავლილი და გადაეცა მომავალ თაობებს. მისი ყოველი ქცევა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა და მოქმედება, შინაგანი სამყარო, სულიერი გრძნობები და ხასიათის ცვლაც კი, მისი ერთგული თანამოაზრეების მეხსიერებაში უცვლელად ჩაიბეჭდა. საყვარელი შუამავლის სახე, ყოველი მოძრაობა და მოქმედება მისი მიმდევრების ყოველდღიურ ცხოვრებაზე უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა და ახდენს დღესაც.* უზენაესმა ალლაჰმა ადამიანებს წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ სახით საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანი გამოუგზავნა, რომლისგანაც შეიძლება ავიღოთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა: ალლაჰის მიმართ მადლიერებისა და კმაყოფილების გამოხატვა, მოთმინება, ხელგაშლილობა, სიკეთე, წონასწორობის შენარჩუნება, პატივისცემა, დაფასება და სხვა. უზენაესი ალლაჰის მიერ გამოგზავნილი მუჰამმედ შუამავლის ﷺ ცხოვრება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისათვის უმწიკვლობის ნიმუშს წარმოადგენს, ვინაიდან სამყაროს გამჩენი წმინდა ყურანში ბრძანებს:

„ვფიცავ, ალლაჰის შუამავალ(შ)ი საუკეთესო მაგალითია თქვენთვის; მათთვის(აც) ვინც (მო)ელის ალლაჰის წინაშე წარდგომას, განკითხვის დღეს და მრავალჯერ ახსენებს ალლაჰს.“ *(სურა აჰზაბი, აიათი 21).*

ჩვენ, ქართველი მუსლიმები, თანამედროვე კაცობრიობის მცირე ნაწილი, ვამაყობთ ასეთი გულუხვი და გულმოწყალე შუამავლის თანადგომით, ჩვენი ბედისწერით, რომ მართლმორწმუნეთა მემკვიდრეებად ვიშვით და მისი მითითებით ღვთისმსახურებას ვეწევით, ღირსეული შრომითი საქმიანობით, მონდომებითა და გულისხმიერებით ვაშენებთ ახალ საქართველოს, ჩვენ სულიერ მისწრაფებებს მტკიცედ ვუკავშირებთ ეროვნულ ფასეულობებს, სწორად გვესმის ჩვენი ქვეყნის ინტერესები და ვაცნობიერებთ ჩვენ სულიერ და სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს, როგორც ქართველი მუსლიმების წმინდა ადამიანურ მოვალეობებს. ჩვენ ჩვენი შუამავლისა და ქვეყნის უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობთ, ალალი შრომით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ახალი საქართველოს შენებაში.

დღეს, როცა საქართველო ადგას აღმშენებლობისა და აყვავების გზას, როცა ჩვენს ხალხს სისხლისა და ცრემლის ფასად აქვს მოპოვებული ქვეყნის თავისუფლება, ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები, ყველას სურვილია დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოში ცხოვრება მორწმუნეებს. ზუსტად ახლა გვმართებს წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ მოთმინების გამოვლენა, ყველა საქმეში ერთიანობა და ერთსულოვნება. ჩვენი სარწმუნოებრივი და მორალური ვალია, კიდევ ერთხელ მტკიცედ დავირაზმოთ წმინდა ყურანის, ქვეყნის კონსტიტუციისა და ქართული იდეალების გარშემო, სულიერად დავიმუხტოთ და დავდგეთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და თავისუფლების დასაცავად, მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ ზნეობის, პასუხისმგებლობის, პატრიოტიზმის, შემწყნარებლობის, მიმტევებლობის, სათნოების, ქველმოქმედების, ტოლერანტობის, შრომისმოყვარეობის, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის უბადლო მაგალითები, ვაჩვენოთ ყველას XXI საუკუნის ახალი და ცივილიზებული ადამიანის ფენომენი -„ქართველი მუსლიმი.“

საზეიმო ღონისძიებაზე შეკრებილებს მიესალმა და წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დაბადების დღე მიულოცა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მიხეილ მახარაძემ.**

წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ ქველმოქმედებაზე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის პრეზიდენტი **ადამ შანთაძე.** მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ალლაჰის მიერ კა-

ცობრიობისათვის სამაგალითოდ მოვლენილი პიროვნება, როგორც სხვა ნებისმიერი კუთხით, ასევე ქველმოქმედებითაც უნივერსალური ნიმუშია. თითოეული ჩვენთაგანი, რომელსაც არ დაუკარგავს ღვთიური ბუნებით ბოძებული გამჭრიახობა, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ამ წარმავალ სამყაროში, ამაოდ არ მოსულა და გაჩენის მნიშვნელოვანი მიზეზები არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი ქველმოქმედება ანუ ურთიერთთანადგომაა.

საზეიმო თარიღის აღსანიშნავად შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ნუგზარ მგელაძემ.**

ღონისძიებაზე დამსწრე მართლმორწმუნეებს მიეცათ შესაძლებლობა მათთვის მშობლიურ (ქართულ) ენაზე მოესმინათ წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დაბადებისადმი მიძღვნილი პოეზიის ნიმუში „მევლუდი“, რომლის ამონარიდებიც წაიკითხა ხელვაჩაურის რაიონის მუფთმა **ბეგლარ ქამაშიძემ.**

საზეიმო ცერემონიალზე შეკრებილებს ასევე მიესალმა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომრის მოადგილე **ნიაზ ზოსიძე,** რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ასეთი საზეიმო დღის მოწყობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიას მრავალი მწარე და უბედური დღე ახსოვს, რომ ეს პატარა ქვეყანა მრავალგზის დაცემულა და წამომდგარა, რომ სწორედ რწმენამ გადაარჩინა ის და დღევანდელ დღემდე სწორედ რწმენამ მოიყვანა, რომ დიდი დავით აღმაშენებლის დროს ყველა სარწმუნოებას და ყველა სალოცავს დიდი პატივი მიეგებოდა.

საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელ საზოგადოებას მისასალმებელი

სიტყვით მიმართა და მუჰამმედ შუამავლის ﷺ სანიმუშო ზნეობის შესახებ მოუთხრო თეოლოგმა, საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციასთან არსებული ვაჟთა პანსიონ „კახაბრის“ პედაგოგმა **ლევან გურგენიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ ალლაჰის მიერ ყურანით გადმოცემული ზნეობის ყველა საკითხი აითვისა და ადამიანებს ცხოვრების ყველა სფეროში განუმეორებელი მაგალითი უჩვენა. შუამავალს დაკისრებული ჰქონდა მისია, სამაგალითო ყოფილიყო თავისი თანამიმდევრებისთვის.

წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ საკაცობრიო მისიის მნიშვნელობასა და დამსახურებაზე დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის I კურსის სტუდენტმა **ნესტან კაკალაძემაც.**

საზეიმო ცერემონიალს მისასალმებელი სიტყვებით აგრეთვე მიმართეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველმა **ბეჟან ბოლქვაძემ,** ქალაქ ბათუმის მერმა **რობერტ ჩხაიძემ** და სხვებმა.

წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დაბადების 1440 წლისთავისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ მორწმუნეთა სულიერ ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა. ■

როგორი უნდა იყოს მუსლიმი ქალი?

გელა გოგიტიძე

ყურანის მიხედვით ქალსა და მამაკაცს თანასწორი პასუხისმგებლობა აკისრიათ. უზენაესი ალლაჰი ასევე საუბრობს იდეალური მუსლიმის ხასიათის შესახებ და ამბობს, რომ მუსლიმი ქალი ნამუსიანი და ზნეკეთილი უნდა იყოს.

ყურანი ქერიმში სურა მუყმინუნის მე-5-ე აიათში იგი ბრძანებს: *„(მორწმუნენი არიან ისინი)* ***რომელნიც ნამუსს იცავენ.“*** **ამასთანავე ალლაჰი ნამუსიანი მორწმუნეების ჯილდოდ პატიებასა და „საიქიო სურპრიზებს“ გვამცნობს.**

უზენაესი ალლაჰი სურა „ენბიას“ 91-ე აიათში წმინდა მერიემის ქება-დიდების შემდეგ, მას კაცობრიობისთვის ნამუსის უბადლო მაგალითად წარმოგვიდგენს და ბრძანებს: ***„ასევე (გაიხსენე) ის (მერიემი), ვინც დაიცვა სინდის-ნამუსი საჭიროებისამებრ. შთავბერეთ მას(ში) ჩვენი სულისგან და ვაქციეთ იგი და ძე მისი სასწაულად სამყაროთათვის.“***

ზნეკეთილობა რწმენაა, მრუშობა, გარყვნილება და უსამართლობა კი უბედურება. ადამიანს რწმენა- სამოთხეში, ხოლო უბედურება ჯოჯოხეთში მოახვედრებს.

მრუშობა ადამიანის ლაქაა, ხოლო ზნეკეთილობა მისი მორთულობაა.

მოთმინებისა და იმედის ნათელი, დაუვიწყარი მაგალითები წმინდა მერიემი და მართლმორწმუნეთა დედა ძვირფასი აიშე გახლავთ. ორივე მათგანმა უსაფუძვლო ცილისწამების სიმწარე საკუთარ თავზე იწვნია, მაგრამ ალლაჰზე მინდობით მორწმუნეთა მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ხალხმა წმინდა მერიემს, ისა შუამავალზე ფეხმძიმობასთან დაკავშირებით, მრუშობაში დასდო ბრალი. აიშე ალლაჰის შუამავალთან ერთად ბენი მუსთალიქის ლაშქრობაში მონაწილეობდა. როცა უკან ბრუნდებოდნენ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იგი ჯარს ჩამორჩა, რითაც ფარისევლებმა ისარგებლეს და მას ცილი დასწამეს. აღნიშნულმა მოვლენამ ალლაჰის შუამავალი ძალიან გაანაწყენა, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა, ძვირფასი აიშეს უმწიკვლობის შესახებ, აიათი გარდმოავლინა: *(სურა ნური აიათი 11).* ამასთან ერთად ალლაჰი სურა „ზუმერის“ 53-ე აიათში ბრძანებს:

„ალლაჰის წყალობისგან იმედი არ მოიწყვიტოთ!“

უკეთილშობილესი შუამავალი ბრძანებს:

„წარმატებული ვერ იქნება ის ადამიანი, რომელიც გამუდმებით რაიმე ახალს არ სწავლობს“. გამომდინარე აქედან, მუსლიმმა ქალმა ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. ყველა გონიერი მუსლიმი,

ქალი იქნება ის თუ მამაკაცი, ასაკის განურჩევლად, სიკვდილამდე, ყოველ დღე, რაიმე ახლით უნდა ინტერესდებოდეს, საკუთარ ცოდნის დონეს იმაღლებდეს და შეცდომების გამოსწორებისთვის ზრუნავდეს.

ისლამი ცოდნას ყოველთვის დიდ მნიშვენლობას ანიჭებდა. უფრო მეტიც, ზეშთაგონებების გარდმოვლენის დაწყებისთანავე, წმინდა ყურანის პირველივე აიათი სიტყვა „იკითხე“ თი დაიწყო, რაც ადამიანებს ცოდნის შეძენისკენ უბიძგებს და უმეცრების უკუნეთიდან გამოსვლისკენ მოუწოდებს. ისლამში როგორც მამაკაცის, ასევე ქალისთვის რელიგიის ცოდნა აუცილებელია. ამასთან ისინი არც მეცნიერებისგან უნდა იდგნენ შორს.

ისლამის ერთ-ერთი სწავლული, სადიყი ამბობს: „კოხტად ჩაიცვით და მოიკაზმეთ. ვინაიდან ალლაჰი ლამაზია და სილამაზე უყვარს. მაგრამ ყურადღება მიაქციე ჰალალსა და ჰარამს.“

მუსლიმი ქალი თავისი თავდაჭერილობითა და თავაზიანი ქცევებით ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს.

როგორც მევლანა ამბობს „იყავი ისეთი როგორიც ხარ.“

მუსლიმ ქალს უნდა გააჩნდეს ნებისყოფა და იგი სულიერი სიძლიერით უნდა გამოირჩეოდეს.

წმინდა მერიემს თავისი სულიერი სიძლიერის, ნებისყოფისა და მოხერხებულობის წყალობით უკან არასოდეს დაუხევია. მას სწამდა, რომ ყველაფერი ალლაჰის კონტროლს ექვემდებარებოდა. გამომდინარე აქედან, სჯეროდა, რომ ალლაჰი მას ცილისწამებისგან აუცილებლად გაათავისუფლებდა, ამიტომაც უმეცრებით გამოწვეული ადამიანების უკადრისი ქცევების მიმართ მისაბაძი მოთმინება გამოიჩინა.

მუსლიმმა ქალმა მთელი თავისი ცხოვრება ყურანის მიხედვით უნდა ააწყოს.

ძლიერი ადამიანი იმდენად თავმდაბალი უნდა იყოს, რომ გახეული მოსასხამის ჩაცმა შეეძლოს. ისე როგორც ამას წმინდა შუამავალი აკეთებდა.

კეთილშობილი ომარი, ხალიფობის პერიოდში, ღამით, კარდაკარ დადიოდა და ხალხის უსაფრთხოებასა და ცხოვრების პრობებს თვითონვე აკონტროლებდა. იგი იმდენად ყურადღებიანი იყო, რომ ავადმყოფის კვნესას თუ გაიგებდა, მაშინვე მასთან მიდიოდა და რაც შეეძლო ყველაფრით ეხმარებოდა. ბავშვის ტირილის ხმას თუ გაიგებდა, მაშინვე მასთან გაიქცეოდა, მიზეზს გამოჰკითხავდა და დახმარებას აღმოუჩენდა.

როდესაც ერთხელ, იმავე მიზნით ქუჩებში დადიოდა, მას ერთი-ერთ სახლიდან დედა-შვილის კამათის ხმა შემოესმა. გოგონა დედას ეუბნებოდა:

- დედიკო! არ გაგიგია, ხალიფას ბრძანება, რძეში წყალი არ გაურიოთო? როგორ შეიძლება ასეთი რამის გაკეთება? ეს ძალიან ცუდი საქციელია!

- შვილო ხალიფა საიდან დაგვინახავს ან როგორ მოგვისმენსო, ეუბნებოდა დედა და ასეთნაირად ცდილობდა იგი შვილის თავის ჭკუაზე გადაბირებას ცდილობდა,

ყველა ადამიანი თავისი სისუსტისა და უძლურებიდან გამომდინარე ერთგვარი ბავშვია, ამიტომაც უმრავლეს შემთხვევაში გულისხმიერებასა და ლმობიერებას საჭიროებს. გულისხმირება, ზნეკეთილი ადამიანის მოვალეობაა. ის ქალის ბუნებაში არსებული მოწყალების ანარეკლია, რომლის გამოვლენაც ყველაზე კარგად მხოლოდ ქალს შეუძლია.

მაგრამ მტკიცე რწმენის მქონე გოგონა ვერა და ვერ დაიყოლია. გოგონამ სამართლიანობისა და ღრმა რწმენის გამომხატველი პასუხი გასცა:

— დედიკო! ამ შუაღამით რის გაკეთებასაც აპირებ, შეიძლება ხალიფა ომერმა ვერ გაიგოს, მაგრამ უზენაესი ალლაჰი ხომ ყოველთვის გვხედავს?



კეთილშობილი ომერი პატარა გოგონას პასუხით აღფრთოვანებული დარჩა. ასეთი მტკიცე და გულწრფელი რწმენის ჯილდოდ, მოგვიანებით, იგი თავის ვაჟიშვილ ასიმზე დააქორწინა.

ესმა ბინთი უმეისი, წმინდა შუამავლის ცოლისდა იყო. მან დროის ფასი ძალიან კარგად იცოდა. მას უქმად არასოდეს კარგავდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ შვილები საკუთარი შრომით გამოეკვება, ჩაეცვა და სხვისთვის არაფერი ეთხოვა.

ადამიანი, რომელიც თვითდაჯერებული არ არის, პასიური და მორცხვია, ის ისლამს ვერ იქადაგებს. გარდა ამისა, მუსლიმი ქალის მიერ საკუთარი თავის წარმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაოდენ განათლებულიც უნდა იყოს, იგი საზოგადოებას სარგებელს ვერ მოუტანს და თავისი ცოდნის ზექათსაც ვერ გასცემს.

ადამიანები, თავიანთი სისუსტიდან და უძლურებიდან გამომდინარე, მუდამ ერთგვარი ბავშვური ხასიათის მატარებელნი არიან, ამიტომაც ისინი უმრავლეს შემთხვევაში გულისხმიერებას საჭიროებენ. გულისხმირება, ზნეკეთილი ადამიანის მოვალეობაა. ის ქალის ბუნებაში არსებული მოწყალების სარკეა, რომლის საშუალებითაც მისი პიროვნული თვისებები ყველაზე უკეთ გამოვლინდება.

ყაირათიანობა და ხელგაშლილობა ძალიან დიდი სიმდიდრის ხაზინაა. ღარიბისა და უპოვრის გახარება ორთავე სამყაროში ბედნიერების მოპოვებას ნიშნავს. ყაირათიანობა გულის სიმშვიდის მიზეზი ხდება.

წმინდა შუამავლის ქალიშვილ ზეინაბს ქველმოქმედება ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

როგორც ვხედავთ, ისლამში საკმაოდ კონკრეტულად არის გაწერილი ქალის საზოგადოებასთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის წესები, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მუსლიმი ქალის სრულფასოვან და უზადო პიროვნებად ჩამოყალიბებას. ■

ადამიანის ღირსება

აჰმედ თაშგეთირენი

„...მაგრამ არა! უთუოდ ადამიანი ზღვარს გადავიდა, როცა ეგონა რომ დამოუკიდებელი გახდა!“

(სურა ღალაყა, აიათები 6-7).

ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, რომელშიც ადამიანი თავისი გამჩენის წინააღმდეგ არის ამხედრებული და თავი ამაყად უჭირავს. ადამიანთა უპატიოსნებამ ხმელეთი და ზღვა მოიცვა, ცამდე მიაღწია და დედამიწის ზღვრებს გადააბიჯა. გარყვნილების მიმდევარი ადამიანი, შესაძლოა, ცხოველზე დაბლა დაეცეს და თუკი იგი თავის ადამიანურ პოტენციალსაც გამოიყენებს, შეძლება უკიდურესად საშიშიც გახდება. მაგრამ ბოროტება უკვალოდ არ ქრება, იგი ბუმერანგივით ანუ ფათერაკებითა და უბედურებებით ადამიანს უკან უბრუნდება:

„ ხმელეთსა და ზღვში ბოროტება აღმოცენდა იმის გამო, რასაც ხალხი თავისი ხელებით ქმნიდა. ზოგიერთ თავიანთ ნამოქმედარს მათვე აგემებს, რათა ეგების (ჭეშმარიტ გზას) დაუბრუნდებიან“. *(სურა რუმი, აიათი 41.)*

ადამიანი თავისი ქმედებებით ღუპავს კაცობრიობასაც და იმათაც, რაც შექმნილი იყო მის გაჩენამდე. იარაღი, რომელიც მან გამოიგონა თავისი სიძლიერით ურჩხულზეც კი უარესია. განურჩევლად დიდისა თუ პატარასი, ომებს ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ***„მაგრამ, გაგშორდება თუ არა მაშინვე ცდილობს დედამიწაზე უწეს-უზნეობა გაავრცელოს, გაანადგუროს (ჩა)ნათეს-(ჩა)ნასახი. ალლაჰს კი ბოროტება არ უყვარს.“*** *(სურა ბაყარა, აიათი 205).*

რა მოუვიდა ხალხს? ნუთუ, მათ არ აქვთ გულები? ნუთუ მათ ღმერთის შესახებ არავინ არაფერს ეუბნება? უპატიოსნება და გარყვნილება დედამიწაზე ამაყად დაბიჯებს და იპყრობს ხალხს, როგორც შავი

ჭირი. იგი ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე სპობს და ამახინჯებს ყოველივე ლამაზსა და ფასეულს.

ადამიანი ამ განსაცდელისაგან ხსნას მოიპოვებს მხოლოდ საკუთარი ხელუხლებელი ღირსების დაცვით, რომელიც მასში თავიდანვეა ჩადებული. მთელი საზოგადოების გადარჩენა ადამიანური სულის ხსნასა და ღირსების აღორძინებაზეა დამოკიდებული.

რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება და მისი უპირატესობა?

„ფაზილეთი“ არაბული სიტყვაა და ქართულად, ზნეობრიობას, ღირსებას ნიშნავს. „ფაზილეთი“- ეს არის ადამიანური ღირსება, რომელიც მას ბედნიერს ხდის და ირგვლივ მყოფთ სიყვარულით აჯილდოებს. სიტყვა „ფაზილეთის“ ანტონიმია - „რეზილეთი“, რაც ქართულად მანკიერებასა და სიბილწეს ნიშნავს.

ადამიანი საკუთარ ზნეობით თავის ბუნებრივ არსს უკავშირდება, ხოლო მანკიერებითა და სიბილწით შორდება მას. ღვთაებრივი მცნებებისაგან დაშორებული თანამედროვე საზოგადოება, ადამიანურ სახეს კარგავს. ისლამის ამოცანაა შეინარჩუნოს ხალხის კავშირი გამჩენთან, არ მისცეს მათ ურწმუნოებისა და მანკიერების უფსკრულში გადაჩეხვის საშუალება და მათი ღირსეული ნაწილისაგან შექმნას საზოგადოება. ისლამური ზნეობრიობის საფუძველი დამყარებულია ადამიანის ბუნების მაღალ გამოვლინებებთან. ალლაჰის უკეთილშობილესი შუამავალი ბრძანებს:

„რწმენის სამოცდაათზე მეტი საფეხური არსებობს. მათგან ყველაზე უდიდესია „ლა ილაჰე ილლელლაჰ“ ,- ყველაზე პატარა კი მოაშორო გზიდან ის, რაც აბრკოლებს ხალხს. მორცხვობაც – რწმენის ერთ-ერთი ნაწილია. “ (მუსლიმი, იმანი, 58).

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ნუთუ ვერ ხედავ, როგორ მოიყვანა ალლაჰმა კეთილი სიტყვის მაგალითი. იგი შეადარა კარგ ხეს, რომლის ფესვი მდგრადი, ხოლო ტოტები ზეცაშია** (აწვდილი) **და თავისი ღმერთის ნებით მუდამ ნაყოფს იძლევა.“***

(სურა იბრაჰიმი, აიათები 24-25).

სიტყვები **„ლა ილაჰე ილლელლაჰ“**, (მორცხვობა, გზიდან ქვის გადაგდება და ა.შ) ადამიანის რწმენის ფართო სპექტრის გამოვლინებაა: რწმენას რელიგიურ მტკიცებულებასთან არა მხოლოდ დამოკიდებულება გააჩნია, არამედ წარმოადგენს ზნეობრიობის ფუნდამენტს, აღვიძებს სხვა ხალხზე ზრუნვის თვისებებს. საქებარი სიტყვები ზნეობრიობის წიგნში „ფაზილეთის“ ქვესათაურშია ჩამოთვლილი, ამასთანავე ეს თვისებები მიეკუთვნება „რწმენის შტოებს“, რის შედეგადაც, მათ ყველაზე ელემენტარულ დეტალებშიც კი შეძლეს აღეწერათ მუსლიმი პიროვნება.

ადამიანის მთავარი უპირატესობა – „თაყვა,“ ანუ ღვთისმოშიშობაა. დანარჩენი სხვა უპირატესობანი კი - მისი შედეგია. ღვთისმოშიშობა, ეს ალლაჰისადმი ერთგულება და იმის შიშია, რომ არ დაკარგო მისი წყალობა; ეს რწმენის ხეა, ყველა ტოტითა და ნაყოფით.

ამავე ქვესათაურში აღწერილია მუსლიმი ადამიანის თვისებები: სამართლიანობა, პატიოსნება, ღირსება, მოწყალება, ზომიერება, კეთილმოსურნეობა., უანგარობა, სიუხვე, საკუთარი ხვედრით კმაყოფილება, სიბრძნე, მორჩილება და თვინიერება. სიკეთეში დარბაისლობა, გამბედაობა და გმირობა, მშვიდობისმოყვარეობა, თავაზიანობა, საიმედოობა, გულმოდგინება, სიკეთისკენ მოწოდება და ბოროტობისაგან თავშეკავება; ნათესავებთან კეთილი დამოკიდებულება, ბავშვების რელიგიურად აღზრდა, უფროსებისადმი პატივისცემა, პატარებზე ზრუნვა, ოჯახის წევრების უფლებების გაფრთხილება, მშობლების მოსმენა; კეთილმეზობლობა, ვალის გაცემა და დაბრუნება, ხალხის შერიგება, სხვებისთვის ვედრების გაკეთება; ურთიერთდახმარება, ძმობა, უმანკოება, სიმართლე, თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა, ღვთისმოშიშობა, მონანიება, ღმერთზე მინდობა, თავმდაბლობა, კეთილმოსურნეობა, ალლაჰისადმი მადლიერება; საკუთარი სიტყვის პატრო-

ნობა, საიდუმლოს შენახვის უნარი, ხალხით კმაყოფილება, მიმტევებლობა, მეგობრის ერთგულება, ოპტიმიზმი, სიმამაცე, სამშობლოსადმი სიყვარული, სიმტკიცე და ამქვეყნიური სიტკბოებისადმი სიხარბის უქონლობა, შინაგანი და გარეგანი სისუფთავე...

რა შეუძლია, წარმოგვიდგინოს ასეთი თვისებების მქონე ხალხმა და ვის ვხედავთ დღეს? გააფთრებულ, გაბოროტებულ, უმადურ, სიტყვითა და საქმით უსუფთაო ხალხს. ადამიანი გაუხეშდა, აღარ არჩევს დიდსა და პატარას, დაკარგა გამბედაობა, მოთმინება, სიკეთე, ნათესავებთან და მეზობლებთან კავშირი... ასეთი ხალხის რაოდენობა დღითიდღე მატულობს, ისლამური საზოგადოებაც კი თავქვე მიექანება, შესუსტებული რწმენით თანდათანობით კარგავს საკუთარ ღირსებებს. ვინ შეძლებს ამ ხალხის გადარჩენას? თუ ალლაჰი მოისურვებს, ამის გაკეთება მხოლოდ ღვთისმოსავებს შეეძლებათ. აი, ორი პატარა მაგალითი ღვთისმოსაობის შესახებ:

* * *

ერთხელ ბატონი მუსა უმრას (მცირე ჰაჯობის) შესასრულებლად მექაში ჩავიდა. ძალიან ცივი ღამეები იდგა და მუსამ თავის თანაშემწეს უთხრა: „შვილო, გახსოვს?გზაში ჩვენ დავინახეთ ადამიანები, რომლებიც გვირაბში ღამის გასათევად დარჩნენ. ჩვენ აქ სასტუმროში თბილად ვართ. ნუთუ, ჩვენ მათ პასუხი არ უნდა გავცეთ? ახლავე, რამდენსაც შეძლებ, იმდენი საბანი იყიდე და მათ მიუტანე.“ თანაშემწეს ფული მისცა და ისიც სწრაფად გაეშურა დავალების შესასრულებლად, საბნები იყიდა, სატვირთო ავტომანქანაზე დააწყო და გვირაბში დარჩენილ ხალხს მიუტანა . იმ ღამეს „ადამიანურ სიკეთეში“ გახვეულ ხალხს ტკბილად ეძინა...

* * *

ზამთარი იდგა, ცხენები თოვლით იყვნენ დაფარულნი. ანკარის გზატკეცილზე თუნდაც, ერთი მარცვლის საპოვნელად მოფრენილი ჩიტები, დაჯდომისთანავე სწრაფად მიმავალი ავტომობილების მსხვერპლი ხდებოდნენ. ვეტერინერმა რამდენიმე ახალგაზრდა თავისთან იხმო და უთხრა: „გარდა იმისა, რომ ღარიბთა კერაზე აანთო ჩამქრალი ცეცხლი, იცით, რომელი საქმეა დღეს ყველაზე საუკეთესო? გადაარჩინო ჩიტები, რომლებიც საკვების მოპოვებას ეწირებიან. აიღეთ მათთვის რაც შეიძლება ბევრი საჭმელი, მოაბნიეთ ის ანკარის, იზმირისა და აქსარაის გზების პირას“. მან ახალგაზრდა ხალხს ბურღულის საყიდელი ფული მისცა. ისინიც გაიყვნენ და სხვადასხვა ავტომაგისტრალისკენ გაემგზავრნენ. მათ ჩიტების გადასარჩენად ბურღული მოაბნიეს.

* * *

— ვიღაც ყინვისათვის განწირულ ხალხს ვერ ამჩნევს, ხოლო ვიღაც კი, პირიქით. ვიღაც დაღუპულ ჩიტებს ყურადღებას არ აქცევს, ხოლო ვიღაცას ეს მოსვენებას არ აძლევს. როდესაც ვიღაცას ხედავ და ამჩნევ, სწორედ ეს არის „ფადილეთი, “ ადამიანის ყველაზე დიდი უპირატესობა.

— ამ ცხოვრებაში ადამიანის წინაშე არის ორი გზა: ერთი – ჩაეშვა ბოროტების ჭაობში და გახდე უბოროტესი. მეორე – საკუთარ თავთან ბრძოლა, რათა შეიძინო შუამავლების ღირსება, ხოლო ცხოვრება განვლო ღვთაებრივი ზეშთაგონებების შესაბამისად.

ადამიანის მთავარი უპირატესობა ღვთისმოშიშობაა და დანარჩენი სხვა უპირატესობანი კი - მისი შედეგია. ღვთისმოშიშობა ეს ალლაჰისადმი ერთგულება და იმის შიშია, რომ არ დაკარგო მისი წყალობა; ეს რწმენის ხეა, ყველა ტოტითა და ნაყოფით.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა განგვიმტკიცოს რწმენა და ღვთისმოშიშობა, გვატაროს შუამავლების გზით და გვარგუნოს ჭეშმარიტ გზაზე დადგომის უნარი!

ამინ! ■

თარგმნა: გ.ხოზრევანიძემ

ისლამის პირველი წლები

თემურ გორგაძე

ისლამის ისტორია

გაგრძელება. (დასაწყისი იხილეთ: „ჟურნალი ახალი მთვარე“ №16)

ძვირფასო მკითხველო, ჟურნალ „ახალი მთვარის“ წინა ნომრებში მოგითხრეთ, ისლამამდელ პერიოდზე და იმ შემზარავ სულიერ წყვდიადზე, რომელშიც ადამიანები უსაზღვროდ გაკადნიერებულნი იყვნენ, უზენაესი ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი კანონები მივიწყებული ჰქონდათ და უზარმაზარი ეგოისტური სწრაფვები ამოძრავებდათ. ასევე გიამბეთ იმის შესახებაც, რომ ყველაფერ ამის შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა, სამყაროთათვის წყალობად და საზოგადოების სიბნელიდან გამოსაყვანად წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ მოავლინა, რომელმაც ასეთ მომაკვდინებელ წყვდიადსა და სიბნელეში მყოფი საზოგადოება ცივილიზაციის მწვერვალზე აიყვანა. გავაანალიზეთ მისი ცხოვრება და ის, თუ როდის და რა პირობებში მოუვიდა პირველი ზეშთაგონება და როგორ ცდილობდა იგი ისლამური ცხოვრების წესის დანერგვას. დღეს კი ვისაუბრეთ ისლამის დასაწყისზე და პირველ მუსლიმებზე.

პირველი მუსლიმები

როგორც ჩემ წინა სტატიაში გიამბეთ, როდესაც უკეთილშობილეს მუჰამმედს შუამავლობის ﷺ მისია დაეკისრა, პირველ რიგში მათ უქადაგა, ვინც მისთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი იყო. ამასთან ერთად, იგი მათ ურჩევდა, რომ ყოველივე ეს საიდუმლოდ შეენახათ და სააშკარაოზე არ გამოეტანათ.

მომდევნო ეტაპზე ალლაჰის წმინდა შუამავალმა ისლამისკენ თანატომელებს მოუწოდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მისი ერწმუნათ და მხარში დადგომოდნენ, ებუ ლეჰების მსგავსად, პირიქით, მას ეწინააღმდეგებოდნენ და მის შესაჩერებლად ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ.

წმინდა შუამავლის შემდეგ პირველი მუსლიმი, მისი ცოლი, **ძვირფასი ხატიჯე** გახდა.

როდესაც წმინდა შუამავალი, თანატომელთა მიერ შეურაცხყოფილი, დამცირებული, მოწყენილი და დამწუხრებული სახლში დაბრუნდა, უდიდესმა ალლაჰმა მას დარდი ერთგული მეუღლის, ხატიჯეს სანუგეშო სიტყვებითა და გამუსლიმებით შეუმსუბუქა.

წმინდა ხატიჯეს გამუსლიმებას ქალიშ-

ვილების, **წმინდა რუყიეს, უმმი გულსუმისა და ფატიმას გამუსლიმანება მოჰყვა**. როდესაც კეთილშობილმა ალიმ, ხატიჯე ნამაზის ლოცვის დროს დაინახა, იკითხა: ***„ეს რას აკეთებსო?“***

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„ეს ალლაჰის შერჩეული რწმენაა. მე გირჩევ ირწმუნო ალლაჰი, რომელიც ერთია და ემსახურო მას. ასევე უარყო ლათი და უზა, რომელთაც არანაირი სარგებლობა მოაქვთ!“.

წმინდა ალიმ მიუგო:

„მე ამ რწმენის შესახებ დღემდე არაფერი გამიგია! თუმცა მამაჩემის, აბუ ტალიბის უკითხავად, ვერაფერს გადავწყვეტ!“

„ალი! თუკი არ გამუსლიმანდები, ეს საკითხი საიდუმლოდ მაინც შეინახე, საქვეყნოდ არ გამოაცხადო“. — თხოვა წმინდა შუამავალმა, რადგან იმ დროისათვის ქადაგებას ფარულად ეწეოდა.

ფრიადპატივცემულმა **ალიმ** ის ღამე ფიქრში გაატარა. დილით, იგი შუამავალთან მივიდა და ისლამის შესახებ შეკითხვები დაუსვა. როცა პასუხები მოისმინა, დამშვიდდა და გადაწყვიტა ისლამი მიეღო. ერთი პერიოდი თავისი გამუსლიმანების ამბავი მამას არ გაუმხილა და საიდუმლოდ დატოვა. ამ დროს იგი ათი წლის იყო.

როცა წმინდა შუამავალი ნამაზის ლოცვას დააპირებდა, ღრმადპატივცემულ ალისთან ერთად მექას შემოგარენში გადიოდა, ისინი იქ ფარულად ლოცულობდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ მუსლიმებს სააშკარაოზე გამოსვლის ნება მიეცემოდათ. რაის შემდეგაც წარმართების ისლამზე მოხმობა დაიწყეს.

ის, რომ ისლამის ქადაგება სამი წლის განმოვლობაში ფარულად მიმდინარეობდა, წარმართთა მხრიდან მოსალოდნელი ტანჯვა-წვალების შიშით კი არ იყო გამოწვეული, არამედ რწმენის კეთილდღეობის დაცვის მიზნით. ამ პერიოდში ისლამი სააშკარაოზე გამოტანა, ბევრ ღარიბ და უძლურ მორწმუნეს საფრთხეს შეუქმნიდა. ეს კი რწმენის გავრცელებას დააბრკოლებდა.

დარულ ერქამი

„დარულ ერქამი“ მუსლიმი საზოგადოების პირველი თავშეყრის ადგილი იყო, სადაც ისლამთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები წყდებოდა. იქ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ:

1. საჭიროებისას საიდუმლოება სტრატეგიის საფუძვლად უნდა იქცეს;

2. სწავლა-განათლება, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად პირველი და აუცილებელი ნაბიჯია.

როცა წმინდა შუამავალმა თავისი ტომი საფას მთასთან შეკრიბა და მათ ისლამისკენ მოუხმო, დიდმა ნაწილმა მას დასცინა, უფრო მეტიც საკუთარმა ბიძამ შეურაცყოფაც კი მიაყენა და ქვები დაუშინა.

როცა შუამავალი სააშკარაოზე გამოვიდა და ისლამის ქადაგება დაიწყო ყურეი-

შელებმა მუსლიმებს სასტიკი მეთოდებით ბრძოლა და ტანჯვა-წამება დაუწყეს.

კეთილშობილი ალის შემდეგ, წმინდა შუამავლის მიერ განთავისუფლებული მონა — **ზეიდ ბინ ჰარისი** გამუსლიმანდა რომელიც ალლაჰის შუამავალს გვერდიდან აღარ მოშორებია. მან ტაიფში მტრების ნასროლი ქვებისგან წმინდა შუამავალი საკუთარი სხეულით დაიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ზეიდს ამ დროს სისხლი ღვარივით მოსდიოდა, მან თავგანწირული სიყვარულით საკუთარი თავი მაინც წმინდა შუამავალს ანაცვალა, რის გამოც მისი მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურა.

ფრიადპატივცემულ ზეიდისადმი წმინდა შუამავლის სიყვარულს შემდეგი ფაქტი ასახავს:

კეთილშობილი ომარი ზეიდის შვილ — უსამეს სამიათასხუთასი დირჰემით დაეხმარა, საკუთარ შვილ — აბდულლაჰს კი ხუთასით ნაკლებით. აბდულაჰმა მამას მიზეზი ჰკითხა:

„უსამეს უპირატესობას რატომ ანიჭებ? ნუთუ მან უფრო მეტ ბრძოლას მიუძღვნა თავი?“

კეთილშობილი ომარის პასუხი, მისივე უბადლო სამართალიანობის, სულიერი სიმდიდრისა და უმაღლესი თავდაჭერილობის მაჩვენებელია:

„შვილო! ალლაჰის შუამავალს მისი მამა მამაშენზე მეტად უყვარდა. უსამეს მიმართაც შენზე მეტი სიყვარული აქვს. ამიტომ, ალლაჰის შუამავლის საყვარელი ადამიანი ჩემსას ვამჯობინე.“

კეთილშობილი აბუ ბაქრი, ბავშვობიდან მოყოლებული, ალლაჰის შუამავლის ლამაზი მორალის, ერთგულებისა და სანდოობის მომსწრე იყო. მას სწამდა, რომ სუფთა მორალის წყალობით, ის ტყუილს არ იტყოდა. ამიტომაც ალლაჰის შუამავალს ერთი წუთითაც არ უყოყმანია, მას ისლამი ისე გააცნო.

წმინდა შუამავალი ამ საკითხის შესახებ ჰადისში ამბობს:

„სანამ ალლაჰი მე შუამავლობის მისიას დამაკისრებდა, თქვენ ამბობდით: შენ მატყუარა ხარო!“ მხოლოდ აბუ ბაქრმა თქვა: „ის მართალს ამბობს“ იგი მე სულიერადაც და მატერიალურადაც იმდენად დამეხმარა, რამდენადაც შეეძლო.“ (ბუჰარი, ასჰაბუნ-ნაბი 5.)

ალლაჰის შუამავალი ისე არაფერს გაუხარებია, როგორც ძვირფასი აბუ ბაქრის გამუსლიმანებამ. როდესაც კეთილშობილი აბუ ბაქრი გამუსლიმანდა, სრულიად მოურიდებლად თავისი მუსლიმანობა სააშკარაოზე გამოიტანა და სხვა ადამიანებსაც უდიდესი ალლაჰისა და შუამავლის რწმენისაკენ მოუწოდა.

წმინდა შუამავლის ცხოვრებაში ფრიადპატივცემულ აბუ ბაქრს გამორჩეული და მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. გამომდინარე იქიდან, რომ წარამტების მისაღწევად ბევრ სხვა რამესთან ერთად აუცილებელია მატერიალური და ინტელექტუალური შესაძლებლობაც, აბუ ბაქრის გამუსლიმანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კეთილშობილმა აბუ ბაქრმა მატერიალური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობა შეასრულა. კადრების არჩევა მისგან დაიწყო, თავისი უზარმაზარი სიმდიდრე გამუსლიმანებული მონების გათავისუფლებასა და სხვა სადაო საკითხებს მოახმარა.

ამ ორ საკითხს ცოტათი თუ განვმარტავთ, გავიგებთ, რომ ფრიადპატივცემულ აბუ ბაქრსა და წმინდა შუამავალს შორის ახალგაზრდობის წლებში დაწყებული მეგობრობა, შუამავლობის მისიის მიღების შემდეგ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა.

კეთილშობილ აბუ ბაქრს, როგორც ერთ-ერთ პირველ მუსლიმს, რწმენის შესახებ ეჭვი არასდროს გამოუთქვამს, რის გამოც მას მეტსახელად „სამართლიანი“ შეარქვეს. შემდეგაც, ისლამის გავრცელების საქმეში არც მორალური, არც მატერიალური ძალ-ღონე არ დაუშურებია და მთელი თავისი ქონება ალლაჰის გზაზე გულუხვად გასცა.

სიყვარულის პირობა საყვარელი პიროვნების მიმართ სითბოს გამოვლენა,

მისი სურვილების შენ მოთხოვნებზე წინ დაყენება და მის სასიკეთოდ, თუ საჭირო გახდა, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაა. კეთილშობილი აბუ ბაქრის ცხოვრება ალლაჰის შუამავლის სიყვარულთანაა დაკავშირებული და ამის გამო წარმავალი ცხოვრების მისაბაძი მაგალითებითაა აღსავსე.

ერთ დღეს აბუ ბაქრმა წმინდა შუამავლის ავადმყოფობის შესახებ გაიგო. ამ ამბავმა მას ისეთი ნაღველი მოუტანა, რომ ლოგინად ჩავარდა. მათ შორის ურყევი სიყვარულის შესახებ ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

„აბუ ბაქრი — ჩემიანია მე კი მისიანი. აბუ ბაქრი სააქაოშიც და საიქიოშიც ჩემი მეგობარია.“ ეს სიტყვები მათ ერთად ყოფნასა და მათ შორის არსებულ სულიერ კავშირს ადასტურებდა.

წმინდა შუამავალს სასიკვდილო სარეცელზე ყოფნისას უთქვამს:

ბილალი ჰაბეში და **დედამისი** ალლაჰის შუამავლის მხრდამჭერთა ფარული ქადაგებების პირველ დღეებში გამუსლიმანდნენ. ძვირფასი ბილალი იმ პირველ შვიდ ადამიანთაგან ერთ-ერთი იყო, რომელთაც გამუსლიმანება არ დაუმალავთ. ის რწმენის დასაცავად ყველა მძიმე ტანჯვას უძლებდა. „ერთადერთია! ერთადერთია! ღმერთი ერთია! ღმერთი ერთია“ — ამბობდა იგი, როცა რწმენის უარსაყოფად მოძალადეები სასტიკად უსწორდებოდნენ. კეთილშობილმა აბუ ბაქრმა მათ შესახებ, როგორც კი გაიგო, ბილალისა და დედამისის საფასური გადაიხადა და მონობისგან გაათავისუფლა.

მან ამით შუამავლის კეთილგანწყობა, სიყვარული და პატივისცემა კიდევ ერთხელ დაიმსახურა.

ჰალიდ ბინ საიდის ისლამით გაცისკროვნება საშინელი სიზმრის გამო მოხდა. ერთ ღამეს მან სიზმრად ნახა თითქოს ცეცხლოვან ორმოსთან იდგა და მამას მისი იქ ჩაგდება უნდოდა, ამ დროს ალლაჰის შუამავალი მას წელზე შემოეხვია და ცეცხლში ჩავარდნას გადაარჩინა. შიშმა გამოაღვიძა და თავისთვის თქვა:

„ალლაჰს ვფიცავ, ეს მართალი სიზმარია!“

შემდეგ კეთილშობილი აბუ ბაქრის მითითებით წმინდა შუამავალთან მივიდა და ისლამი მიიღო.

როდესაც მამამისმა ჰალიდის გამუსლიმანება გაიგო გაუჯავრდა:

„არარაობავ, წადი, მომშორდი! ვფიცავ სარჩოს შეგიწყვეტ!“

ჰალიდმა უპასუხა:

„შენ ბედისწერას ვერ შეცვლი, უეჭველად, სარჩოს ალლაჰი მომცემს“.

ფრიადპატივცემული ჰალიდი ეთიოპიაში გადასახლებამდე მუდამ ალლაჰის შუამავალთან ერთად იყო. *(ჰაქიმი, III, 277-280)*

შემდეგ, ჰალიდის ცოლი ჰუმეინი, ძმა ამრი და მისი ცოლი ფატიმაც გამუსლიმანდნენ. ■

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნამაზის საოკრებანი

გულა გოგიტიძე



ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში მდებარე, ლაზერული ტექნოლიგიების ეროვნულ ცენტრში ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადასტურდა, რომ სეჯდეს შესრულება ადამიანს სიმსივნისგან იცავს.

გარდა ამისა, გამოკვლევების საშუალებით დამტკიცდა, რომ სეჯდეს შესრულება ფეხმძიმე ქალებისთვის სასარგებლოა. იგი ხელს უშლის ნაყოფის დაზიანებას, ამასთანავე სეჯდეს შესრულება უამრავ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოშლილობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

როგორც ლაზერული ტექნოლოგიის ცენტრის კათედრის გამგემ, ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა ზიაედდინ ჰამიდმა განმარტა: „ჩვენს დროში ადამიანები ყოველი მხრიდან ელექტრო მაგნიტური ტალღების ზემოქმედების ობიექტები ხდებიან. გამომდინარე აქედან, ისინი უფრო მეტ ლაზერულ სხვის იღებენ, ამიტომაც სხეულში დაგროვილი ამ ტვირთის გარეთ გამოდევნაა საჭირო.

ეგვიპტელი მეცნიერის ზიაედდინის განმარტებით, გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სხეულში დაგროვილი ელექტრომაგნიტური ტვირთი, ალლაჰისთვის სეჯდეს შესრულებით გარეთ გამოიდევნება.

მეცნიერულმა კვლევამ ასევე დაამტკიცა, რომ, რაც უფრო უახლოვდება ადამიანის სხეული მიწას, მით უფრო მცირდება მისი ელექტრომაგნიტური ტალღების ზეგავლენის ქვეშ მოქცევის ალბათობა.

სხეულის შვიდი ნაწილის მიწასთან შეხება, ადამიანს უარყოფითი ენერგიისგან ათავისუფლებს.

პროფესორმა ზიაედდინმა ასევე დაამტკიცა, რომ შუბლის მიწაზე შეხებით, სხეულში შეღწეული ელექტრომაგნიტური ტვირთი გარეთ გამოიყოფა.

გარდა ამისა, ამ გამოკვლევებით ნათელი ხდება, რომ სხეულის შვიდი ნაწილის ერთდროულად მიწაზე შეხება, ელექტრო მაგნიტური ტვირთის გარეთ გამოდევნას აჩქარებს, დაღლილობას ხსნის და ბევრ დაავადებას კურნავს. ■



ქსიანეს დიდი მეჩეთი ჩინეთში

გურამ სოფრიკვანიძე

ჩინეთში ისლამი ჯერ კიდევ წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დროს შევიდა. როდესაც „ჭეშმარიტი ცოდნის“ გადასაცემად იქ საჰაბე, ძვირფასი ვეჰბ ბინ ქებში ჩავიდა. შემდგომ ისლამის გავრცელებაზე გავლენა მოვაჭრე მუსლიმებმა იქონიეს, რომლებიც ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ამ ადგილებში დასახლდნენ.

ხუაშნის მთიდან (ჩინეთის ხუთი სახელგანთქმული მთიდან ერთ-ერთი) დასავლეთით 120 კმ-ის დაშორებით, ქალაქ ქსიანეში დიდი მეჩეთი მდებარეობს. ამჟამად ქსიანეს მხარეში 60 000 მუსლიმი ცხოვრობს, რომელთა ისტორია დიდი აბრეშუმის გზიდან იწყება. არაბმა და სპარსელმა ვაჭრებმა ამ გზით ჩინეთში თავიანთი კულტურა შეიტანეს. ისინი დასახლდნენ ქალაქებში: გუანჯოუში, ხანჯოუსა და ქსიანეში, ეს უკანასკნელი იმპერიის თერთმეტი დინასტიის მმართველობის პერიოდში ჩინეთის დედაქალაქი იყო. დღემდე დიდ მეჩეთში შემონახულ ქვის დაფებზე არსებული, ისტორიული წარწერების თანახმად იგი 742 წელსაა აგებული და 1384-წელს გადაკეთდა. აი, უკვე 1260 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი მეჩეთი ქსიანეს მხარის მუსლიმი საზოგადოების ცხოვრების ცენტრად რჩება.

მეჩეთს 13.000 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია და ოთხი პატარა ეზო აქვს. პირველის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, ჩინურ სტილში გაკეთებული ხის თაღი განსაკუთრებული ლავგარდანით (კარნიზით). მეორე ეზოს მშვენება არის მოჩუქურთმებული ქვის ღობე და მაგიდები ურჩხულების გამოსახულებითა და ჩინელი კალიგრაფისტების მიერ შესრულებული წარწერებით. ჩინეთში ეს წარწერები ახლაც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. მესამე ეზოს განსაკუთრებულობას წარმოადგენს „მთვარიანი დაფა.“ ეს ქვა არაბული წარწერებითაა, რომელშიც მოცემულია ცნობები მთვარის წლისა და მუსლიმური კალენდრის შესახებ. ამავე ეზოში რვაკუთხა, გვირგვინიანი სახურავითა და მოღუნული ჩინური კარნიზით ორსართულიანი მინარეთია აღმართული. მინარეთთან ახლოს განლაგებულია ოფიციალური მიღებების დარბაზი, სადაც უძველესი ხელნაწერები, ყურანი და მექას რუკა ინახება. მეოთხე ეზოში ტალავერია განლაგებული. უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მეჩეთის უდიდესი სალოცავი დარბაზი ახდენს. მას შეუძლია დაიტიოს ათასამდე მლოცველი. მისი კედლები აწყობილია ხის ექვსასი ფიცრით, რომლებზეც არაბულ და ჩინურ ენებზე ყურანის მთელი ტექსტია ამოკვეთილი.

ქვასა და ხეზე შესრულებული ნატიფი ჩუქურთმა ქსიანეს დიდ მეჩეთს უნიკალურ არქიტექტურულ ნაგებობად წარმოაჩენს. მეჩეთი ისტორიულ და კულტურულ ფასეულობადაა აღიარებული და სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება. ■

წმინდა იდრის შუამავალი

გელა გოგიტიძე

გადმოცემის მიხედვით წმინდა იდრისი ბაბილონში დაიბადა. იგი, წმინდა ადამის შემდეგ, მეექვსე თაობის შთამომავალი იყო. წმინდა იდრისის შესახებ ყურანის ოთხ აიათშია საუბარი.

წმინდა იდრისი, სანამ მას შუამავლობის მისია დაეკისრებოდა, ძალიან ბევრ ღვთისმსახურებას ასრულებდა და ალალი შრომით მოპოვებული შემოსავლით ცხოვრობდა.

იგი ყაენის მოდგმის საზოგადოების წევრი იყო. შით შუამავლის მიერ ნაჩვენებ გზას საკმაოდ დაშორებულ ხალხს, რომელიც გადაგვარებული იყო, ალლაჰის მონა-მსახურება მივიწყებული ჰქონდათ და ყოველგვარ აკრძალულ ქმედებასა თუ ბოროტებას ჰალალად მიიჩნევდნენ. ტომი უსამართლობის უკიდურეს ზღვარზე იდგა. გამჩენმა ღმერთმა იმმიზნით რომ ამ მოდგმისთვის ჭეშმარიტება შეემეცნებინა, მათ წმინდა იდრისი შუამავლად მოუვლინა. მას ოცდაათგვერდიანი ღვთიური წერილი გადასცა და ამით ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები ამცნო. იდრისმა კი ისინი ხალხს უქადაგა.

გადმოცემის მიხედვით, მის თანატომელთაგან, დაახლოებით, ათასმა ადამიანმა ირწმუნა. ანგელოზები წმინდა იდრისთან ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ და მას ესაუბრებოდნენ.

იდრისის მიერ თავისი მოდგმისთვის ჭეშმარიტების შესამეცნებლად ნაქადაგები ბრძნული სიტყვებისა და რჩევებისგან, ზოგიერთი ასეთია:

„ჭკვიანი ადამიანის საფეხური რაც უფრო მაღლდება, მით უფრო იზრდება მისი მორჩილება.“

„ჭკვიანი ადამიანი სხვის ნაკლს არ შეხედავს, ადამიანს წუნს სახეში არ მიახლის! როგორც კი ქონება გაეზრდება, არ გამედიდურდება და ზნეობა არ გაუფუჭდება.“

„ის, ვინც სულიერად არ იწმინდება, უგუნურია!“

„საიქიოსა და ამ ქვეყნის სიყვარული ერთად ვერ იქნება!“

„ვედრების დროს თქვენი განზრახვა გულწრფელი უნდა იყოს!“

იდრისი თავისი სიცოცხლის დასასრულისკენ დიადი ღმერთის მიერ ცად იქნა ამაღლებული. ეს ამბავი სურა მერიემის 57-ე აიათში ასეა გადმოცემული:

„ჩვენ იგი უმაღლეს საფეხურზე ავა-

მაღლეთ!“

წმინდა იდრისის სამართლიანობისა და გულწრფელობის შესახებ ყურანში ასეა მოთხრობილი:

„წიგნში იდრისიც მოიხსენიე, რადგან ის ძალიან სამართლიანი შუამავალია!“ *(სურა მერიემი, აიათი 56)*

„ისინი ჩვენ შევიწყალეთ!უეჭველად ისინი, მართალთაგანნი იყვნენ..“ *(სურა ენბია, აიათი 86)*

აიათებში შუამავლების მოხსენიება, როგორც „ღვთისმოსავი, ერთგული და მომთმენი“, მათი ღირსების აღიარება და შექებაა.

კაცობრიობის ისტორიაში შუამავლები იმყოფებოდნენ სულიერი სრულყოფის მწვერვალზე, ასევე დროდადრო მატერიალური სრულყოფის მხრივაც პირველები იყვნენ. წმინდა ადამი მიწათმოქმედის, წმინდა იდრისი კი, თერძის პროფესიას ფლობდა. პირველი ადამიანიდან დაწყებული „წერის“ კულტურა იდრისის დროს საკმაოდ განვითარდა. ამავე დროს მან საფუძველი ჩაუყარა დღევანდელი ქიმიისა და ფიზიკის მეცნიერებებს, ამგვარად, მან კაცობრიობას ცოდნისკენ გაუხსნა გზა.

წმინდა იდრისი იმ ერთ-ერთ შუამავალთაგანია, რომელსაც ღვთიური წერილი მოევლინა. მისი ერთგულება, სამართლიანობა და ზნეობა ყურანშია შექებული.

იდრისის ცხოვრება გვიჩვენებს ზეციური საოცრებების საიდუმლოსა და იმას, თუ როგორ მიიღწევაგაწმენდილი გულითღვთიურ გამოვლინებებთან. აგრეთვე, გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, ადამიანი ცხოველზე უფრო დაბალ დონეზე დაეცეს, ან ანგელოზზე ზემოთ ამაღლდეს.

მართლაცდა, ალლაჰის წყალობით, გულის განწმენდით, რომელიც სხეულისა და სულის ცენტრია, ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს ანგელოზებზე მაღალ საფეხურამდეც კი, თუმცა, ამ დროს იგი გარეგნულად სხვა ადმიანებისგან არაფრით გამოირჩევა.

ეს თავისებურებები იდრისის ცხოვრებაში სრულყოფილად განხორციელდა, ამიტომაც აქ, გულის სამყაროზე უფრო ფართო ინფორმაციის წარმოდგენა სასარგებლო იქნება. თანაც ადამიანისგან ამქვეყნად ხომ მხოლოდ იმას ითხოვენ, რომ იგი „უნაკლო“ გულის პატრონი იყოს. უზენაესი ალლაჰი სურა შუარას, 88-ე და 89-ე აიათებში ბრძანებს:

„(იმ) დღეს (არავის) არა(არაფერ)ს არგებს ქონება და შვილები! მხოლოდ ალლაჰთან სუფთა გულით მიმსვლელნი გადარჩებიან.“

ამქვეყნად ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა და სერიოზული საზრუნავი, სიკვდილის შემდეგი მარადიული ცხოვრებისთვის მზადებაა. ეს კი, გულის განწმენდით, მისი ყოველგვარი საფრთხისა და ბოროტებისაგან დაცვით, მაღალი ზნეობისკენ მიმართვითაა შესაძლებელი.

გულისგან ეშმაკის მოშორება მხოლოდ ღვთისმსახურებით, ალლაჰის ხსენებით, ღვთისმოსავებთან საუბრითა და მსგავსი ლამაზი ქცევებითაა შესაძლებელი. ამის შედეგად ადამიანში ღვთისმოსავობა ვლინდება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, თვენგან ალლაჰის წინაშე ყველაზე ძვირფასი არის ის, ვისაც მისი ყველაზე მეტად ეშინია.“ *(სურა ჰუჯურათი, აიათი 13)*

აღნიშნული ღვთისმოსაობის დასაცავად აუცილებელია, სანდო კეთილ ადამიანებთან ურთიერთობა და მათთან საუბრი.

როგორც თანამედროვე სოციოფსიქოლოგია ამტკიცებს, ადამიანი არის არსება, რომელზეც გარემო ახდენს ზემოქმედებას. ისე როგორც ზოგიერთი გადამდები დაავადება, ადამიანების ხასიათი და მდგომარეობა ერთმანეთზე ვრცელდება, რადგანაც სულებს შორის ურღვევი კავშირი არსებობს.

„ო, თქვენ რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართლებთან ერთად!“ *(სურა თევბე, აიათი 119)*

შეიყვარე და შეიძულე ალლაჰის გამო

ოსმან ნური თოფთაში

სიყვარული ნიშნავს იმას, რომ შენი თავი დაინახო მასში, ვინც გიყვარს. გამომდინარე აქედან, თუკი უზენაესი ალლაჰი ადამიანში დაინახავს ისეთ ღვთიურ თავისებურებებს როგორებიცაა, მოწყალება, შებრალება, ხელგაშლილობა და ა.შ მას უთუოდ შეიყვარებს.

ამქვეყნად ყველაფრის შეფასება მხოლოდ მისი საპირისპიროს გაანალიზებით შეიძლება. ჩვენთვის ცნობილია, ისიც, რომ წმინდა შუამავლის მოწინააღმდეგე, ბიძამისი ებუ ლეჰები უზენაესმა ალლაჰმა დაწყევლა. როგორც აქედან ჩანს, თუკი მოწინააღმდეგეს არ შევიძულებთ, ისე სიყვარული არასრულყოფილი იქნება.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე უფრო აღმატებული უზენაესი ალლაჰის სიყვარულია, წარმავალისადმი სიყვარული სულიერად ამაღლების ერთ-ერთ საფეხურად უნდა ვაქციოთ, ვინაიდან ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ მაშინ იწყება, როცა წარმავალთა სიყვარულის ზღვარს გადავაბიჯებთ. როგორც მზის შუქის წიაღში სანთლის შუქი, ასევე ღვთიური სიყვარულის წინაშე წარმავალთა საიყვარულიც შეუმჩნეველი და უმნიშვნელოა.

ღვთისმოსავებმა გვაჩვენეს ღვთიური სიყვარულის უნიკალური მაგალითები, რომლებიც წარმავალ სამყაროში ყველა მორწმუნემ უნდა გაითვალისწინოს.. გულში წარმავალთა სიყვარული მისი უმნიშვნელო რამეებით შევსებაა. თუკი, ოჯახის, სამშობლოს, მეზობლის, მეგობრის, ნათესავის მოყვრისა და სხვა მსგავსთა სიყვარულიც უზენაესი ალლაჰის სიყვარულითაა გამოწვეული, მაშინ უფრო სრულყოფილი და კეთილშობილური იქნება. სიყვარული, რომლის ობიექტიც არა ღმერთი, არამედ სხვა რამაა, გულს მხოლოდ დროებით სიმშვიდეს მიანიჭებს და ის მარადიული ვერ იქნება.

შუამავლის მოღვაწეობის ნაყოფი

ერთ დღეს წმინდა შუამავლმა ფრიად პატივცემულ ალის ჰკითხა:

- ალი, უზენაესი ალლაჰი გიყვარს?

- დიახ, წმინდა შუამავალო.

- მისი შუამავალიც გიყვარს?

- დიახ!

- ჩემი შვილი, ფატმაც გიყვარს?

- რათქმაუნდა.

- კარგი, ჰასანი და ჰუსეინი გიყვარს?

- კი.

- ალი! ერთ გულში ამდენი სიყვარული როგორ მოათავსე?

ფრიადპატივცემულმა ალიმ ამ შეკითხვას პასუხი ვერ გასცა და ჩაფიქრებული სახლში დაბრუნდა. როდესაც ძვირფასმა ფატმამ ალი ჩაფიქრებული და დაღონებული დაინახა, იმის გასაგებად, თუ რაში იყო საქმე, ჰკითხა:

- რაღაც დაღონებული და შეწუხებული ხარ, რაიმე ცუდი მოხდა? თუკი შენი დამამწუხრებელი ამქვენიურია მასზე წუხილი არც ღირს, ხოლო თუკი სიქიოსთან დაკავშირებულ რაიმეზე წუხხარ, იქნებ მეც გამანდო.

ფრიად პატივცემულმა ალიმ მოუყვა ყველაფერი, რაც თავს გადახდა. ძვირფასმა ფატმამ ჯერ ასწავლა თუ როგორ უნდა ეპასუხა ამ კითხვებზე, შემდეგ გაიღიმა და მიუგო:

— წადი მამაჩემთან და იმ კითხვებს უპასუხე.

გახარებული, ფრიადპატივცემული ალი წმინდა შუამავალთან გაიქცა.

— წმინდა შუამავალო, როგორც ადამიანს გააჩნია, წინა, უკანა, მარჯვენა და მარცხენა მხარეები, ასეთივეა გულიც. უზენაესი ალლაჰი ჭკუა-გონებითა და რწმენით, თქვენ სულითა და რწმენით, ფატიმა ადამიანური „მე“-თი, ხოლო ჰასან და ჰუსეინი მამობრივი სიყვარულით მიყვარს.

ამაზე, სამყაროს სიამაყემ გაიღიმა და ასე უპასუხა:

- ალი! ეს პასუხი მხოლოდ შუამავლის მიერ დარგული ხის ნაყოფია და მეტი არაფერი.

როგორც ვხედავთ, ყველანაირი სიყვარული, რომლის საფუძველიც უზენაესი ალლაჰის სიყვარულია, მისაღები და მიზანშეწონილია, ხოლო სიყვარული, რომელიც ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით არაა გამოწვეული, მხოლოდ გულის სულიერ დაავადებად შეიძლება იქცეს.

წარმავლის სიყვარული, რომელიც მხოლოდ გულს აბრმავებს

უზენაესი ალლაჰის მიერ ამქვეყანასა და საიქიოში ბოძებული სიკეთეების დავიწყება და მათ მიმართ უმადურობის გამოჩენა მხოლოდ უმეცართათვისაა დამახასიათებელი.

ერთ-ერთ ფადიშაჰს მონადირე ძაღლი ჰყავდა, რომელიც მისთვის ყველაზე ძვირფასი ცხოველი იყო. ერთხელ, როცა სანადიროდ წავიდნენ, მწევარმა ხორცის ნაჭერი იშოვა, რითაც გაერთო და საკუთარი პატრონი დაავიწყდა. ადამიანის მდგომარეობა, რომელიც უზენაესი ალლაჰის სიყვარულს დაივიწყებს და გულს წარმავლის სიყვარულს გადააყოლებს, მინიმუმ იმ მწევრის მდგომარეობას ჰგავს, რომელმაც უბრალო ძვლის გამო პატრონი დაივიწყა.

„განა თევზის მდგომარეობაც იგივე არაა?! როცა იგი წყალშია, ყველანაირად დაცულია, მაგრამ მას გაუმაძღრობამ და ცდუნებამ სძლია რის გამოც მეთევზის მიერ გადაგდებულ ანკესზე წამოეგო“.

მონა-მსხური, რომელიც ეგოისტურ ცდუნებების ანკესს წამოეგო და ღმერთს დაივიწყებს, იმ თევზს ჰგავს, რომელმაც თავისი სიცოცხლე ერთი ლუკმა საკვების გამო გაწირა. წარმავალ სიამტკბილობაზე იმქეყნიურის გაცვლა, ქოხის სასარგებლოდ ოქროს კოშკებზე უარის თქმას ჰგავს, ეს კი უმეცართა ვაჭრობაა და არა ბრძენთა.

ჭეშმარიტი მორწმუნე ყველაზე ძვირფასი არსებაა, რაც კი უზენაეს ალლაჰს გაუჩენია. იგი თავის გულში არსებულ სიყვარულის მარაგს სწორად გამოიყენებს და „ერთ ყლუპ წარმავალ ქვეყანას“ მარადიულად მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს არ გადააყოლებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ნახე ის, ვინც თავისი ვენბა ღვთაებად იქცია, განა შენ მისი დამცველი იქნები?!“***

(სურა ფურყანი, აიათი 43)

ერთ-ერთ ჰადისში კი ნაბრძანებია: „ღვთაებად მიჩნეულთაგან, რომლებსაც ხალხი ეთაყვანება, უზენაეს ალლაჰს ყველაზე მეტად ვნება და ეგო სძულს “.

გამომდინარე აქედან, ჭეშმარიტი მორწუნე რომ გავხდეთ, საჭიროა ეგოისტურ სურვილებს ვძლიოთ. მაგრამ რწმენის გარეშე დარჩენილი ადამიანი, რომელმაც არ იცის, თუ ვინ უნდა გახადოს თავისი სიყვარულის ობიექტი, იმ გემს ჰგავს რომელსაც შუა ოკეანეში საჭე გაუტყდა და მართვის ამ მთავარი ატრიბუტის გარეშე დარჩა. ასეთ გემს ულმობელი ტალღები გაიტაცებს და

დასაღუპავად გააქროლებს.

სიყვარული, რომელიც რწმენის სიტკბოების ანტონიმად შეიძლება იქცეს, მორწმუნეს სულიერ სიმშვიდეს დაუკარგავს.

გიყვარდეს ის ვინც, სიყვარულს იმსახურებს, ხოლო გძულდეს ის, ვინც ეს დაიმსახურა

თუკი სიყვარული და სიძულვილი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით არაა გამოწვეული, ის სულიერი ტრაგედია გახდება. გამომდინარე აქედან, აუცილებელია, რომ სიყვარულის ღირსნი გვიყვარდეს, ხოლო, გვძულდეს ის ვინც სიძულვილს იმსახურებს:

„ო, თქვენ რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართლებთან ერთად!“ *(სურა თევბე, აიათი 119)*

გამომდინარე იქიდან, რომ ღვთისმოშიშთაგან ყოველთვის პოზიტიური და ღვთიური ენერგია ვრცელდება, ჩვენც ისინი უნდა გვიყვარდეს და არა ფლიდნი, რომელთაგანაც მხოლოდ ნეგატიური ენერგია მოდის.

„აღარ დაჯდე უსამართლო ხალხთან ერთად.“ *(სურა ენღამი, აიათი 68)*

დღეს, როცა ურწმუნოების ხანაში ვცხოვრობთ და წამყვანი ძალაც ესაა, მუსლიმმა უნდა იცოდეს, რომ ურწმუნოებაზე, უსამართლობა და მის მიმდევრებზე მიბაძვა მათზევე დამსგავსებას ნიშნავს, რაც ყველა შემთხვევაში დამღუპველი იქნება, როგორც წუთისოფელში, ასევე იმქვეყნად. ადამიანი ყოველთვის მადლიერია იმის, ვინც სიკეთე გაუკეთა. გამომდინარე აქედან, შეიძლება გულში ერთგვარი ურწმუნოების სიყვარულის ნაყოფიც კი ჩაისახოს.

ერთ-ერთმა საჰაბემ წმინდა შუამავალს ჰკითხა, მოეთხოვა თუ არა ვინმესთვის რაიმე, თუ ამის საჭიროება შეექმნებოდა. წმინდა შუამავალმა კი უპასუხა:

- არა, არავის არაფერი მოთხოვო! მაგრამ თუკი იძულებული გახდები, ვიღაცას რაღაცა თხოვო, მაშინ მხოლოდ ღვთისმოშიშებს თხოვე! *(ებუ დავუდი, ზექათი 28).*

ამ საკითხთან დაკავშირებით თვალსაჩინო მაგალითი, ფარაონისა და ჯადოქრების მდგომარეობაა. ჯადოქრები მანამ, სანამ ფარაონის რჩეული ადამიანები იყნენ და მისგან უდიდეს პატივისცემას იმსახურებდნენ, როგორც კი ღვთიური სასწაული იხილეს და ჭეშმარიტ რწმენას ეზიარნენ, ფარაონს ბრაზისგან ძარღვებში სისხლი გაეყინა და მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. ამის მიუხედავად ჯადოქრებს ფარაონისთვის შეწყალება ერთხელაც არ უთხოვიათ. პირიქით, საკმაოდ ბრძნული და მუსლიმისთვის შესაფერისი პასუხი გასცეს:

„შენ უსამართლო მხოლოდ ამქვეყნად ხარ, როგორც გინდა ისე მოიქეცი, რაც უნდა იყოს, ჩვენ ღმერთს უნდა დავუბრუნდეთ“.

სანამ ფარაონი მათთვის ხელ-ფეხს ჯვარედინად დააჭრევინებდა და ხურმის ხეებზე ჩამოაკიდინებდა, მათ ხელები ზეცაში ჰქონდნენ აპყრობილი, რათა ადამიანური სისუტიდან გამომდინარე ფარაონისთვის შველა არ ეთხოვათ.

როგორც სურა არაფის 126-ე აიათიდან ჩანს გარდაცვალებამდე ისი ალლაჰს: ***„ღმერთო ჩვენო! მოთმინება გვიბოძე და მუსლიმებად აღგვასრულე“***-ო ევედრებოდნენ.

ქვემოთ მოცემული მოვლენები, რომლებიც ბედნიერების ხანაში ხდებოდა, ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, თუ რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მათ მიმართ, რომლებიც რწმენის წინააღმდეგ გამოდიან.

წარმართებმა ჰუდეიბიეში დადებული ზავი ორი წლის შემდეგ მუსლიმების წინაღმდეგ განხორციელებული რელიგიური წმენდით დაარღვიეს და წმინდა შუამავლის შეთავაზება, იმის შესახებ, რომ სამშვიდობო შეთანხმება კვლავ განეახლებინათ, ყურადღების ღირსადაც კი არ ჩათვალეს. შემდეგ კი, შეშინებულებმა, თავიანთი ლიდერი ებუ სუფიანი მედინაში გაგზავნეს.

იქ ჩასულ ებუ სუფიანს ყურადღება არავინ მიქცია. იმის მიუხედავად, რომ წმინდა შუამავლის მეუღლე უმმუ ჰაბიბე ებუ სუფიანის ქალიშვილი იყო, როცა ყურრიშთა ელჩი თავის ქალიშვილთან სახლში მივიდა და შუამავლის ლეიბზე დაჯდომა დააპირა, უმმუ ჰაბიბემ მას ამის ნება არ მისცა. გაკვირვებულმა ებუ სუფიანმა ქალიშვილს ჰკითხა:

- შვილო ამ ლეიბზე დაჯდომის ღირსად არ ჩამთვალე, თუ ლეიბი არაა ჩემი შესაფერისი.

უმმუ ჰაბიბემ შემდეგი პასუხი გასცა:

- ეს ლეიბი წმინდა შუამავლისაა. შენ კი ურწმუნო ხარ, ამიტომ მასზე დაჯდომისღირსი არ ხარ.

ებუ სუფიანს ამ წინადადების გაგონებაზე ძარღვებში სისხლი გაეყინა და უმმუ ჰაბიბეს უთხრა:

- შვილო მას შემდეგ, რაც ჩვენგან წამოხვედი, ძალიან შეცვლილხარ.

ქალიშვილმა კი უპასუხა

- არა მამა. ამის მიზეზი არა თქვენგან შორს ყოფნა, არამედ ის არის, რომ უზენაესმა ალლაჰმა ჭეშმარიტ რწმენას მაზიარა. *(იბნი ჰიშამ, IV, 12-13).*

ამ შემთხვევიდანაც ნათლად ჩანს, რომ რწმენა ამქვეყნად ყველაფერზე ძვირფასია. ისლამის მტერი, ალლაჰის კმაყოფილების დამსახურების მიზნით, უნდა გძულდეს თუნდაც ეს პიროვნება საკუთარი მამა იყოს.

აქვე მოვიყვანთ მეორე მაგალითს, რომელიც ბედნიერების ეპოქაში მოხდა და რომელიც ნათლად ასახავს რწმენის მნიშვნელობას.

სანამ ჰუდეიბიეს სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდებოდა, წმინდა შუამავალმა ფრიადპატივცემული ოსმანი მექაში ელჩად გააგზავნა. ოსმანმა წარმართებს აუხსნა, რომ მუსლიმების მიზანი მექაში ჩასვლა და უმრეს გაკეთება იყო, მაგრამ მათ მაინც ვერაფერი გააგებინა. თუმცა წარმართებმა მას შეთავაზეს, რომ თუკი თვითონ ისურვებდა, შეეძლო ქააბაზე გარს შემოვლის ღვთისმსახურება (ტავაფი) შეესრულებინა.

მუსლიმები ქააბაზე გარს შემოვლის სურვილით კვდებოდნენ და ღმერთის სახლი მუდამ თვალწინ ედგათ. ზოგიერთი ფიქრობდა კიდეც, ოსმანმა ქააბას გარს შემოუარაო და თეთრი შურით შურდათ მისი. მაგრამ ოსმანმა, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე წმინდა შუამავლისთვის ჰქოდა მიძღვნილი, წარმართებს შემდეგი პასუხი გასცა:

- მანამ, სანამ წმინდა შუამავალი ქააბას გარს არ შემოუვლის, მე ამას არ გავაკეთებ. მე ალლაჰის სახლს მხოლოდ შუამავლის უკან მდგომი მოვინახულებ. იქ, სადაც ალლაჰის შუამავალს არ იღებენ, მე არაფერი მესაქმება. *(აჰმედ, IV,324).*

როგორც მუსლიმებსა და წმინდა შუამავლის მიმდევრებს შეეფერება, ჩვენც მის მსგავსად უნდა მოვიქცეთ, შევიყვაროთ ის, რაც მას უყვარდა ან შეიძლება შეჰყვარებოდა და შევიძულოთ ის, რაც ალლაჰის შუამავალს სძულდა ან შესაძლოა შეძულებოდა.

ჭეშმარიტი სიყვარულის ნიშნები

ერთ-ერთი ქადაგების დროს პატივცემული სევბანი წმინდა შუამავალს ღრმად ჩაფიქრებული უყურებდა. როცა წმინდა შუამავალმა მისი ეს მდგომარეობა შენიშნა ჰკითხა:

- სევბან, რა დაგემართა?

ფრიადპატივცემულმა სევბანმა, რომელსაც შუამავალი ძალიან უყვარდა, შემდეგნაირი პასუხი გასცა.

— დედაჩემსა და მამაჩემს განაცვალებ წმინდა შუამავალო! შენი სიყვარული ისე ძლიერია ჩემში, რომ შენგან განშორების ყოველი წამი ჩემთვის მტკივნეულია. როცა ამქვეყნად ასეა, საიქიოში რა მეშველება? ამაზე ვფიქრობ. თქვენ იქ შუამავლებთან ერთად იქნებით, მაგრამ მე, როგორ და სად ვიქნები, არავინ იცის. თუკი სამოთხეში ვერ მოვხვდი, ვერასდროს დაგინახავთ. აი ესაა, რაც მაწუხებს წმინდა შუამავალო.

წმინდა შუამავალმა შემდეგნაირი პასუხი გასცა:

- *„პიროვნება მასთან ერთადაა, ვინც უყვარს“ (ბუჰარი, ედები 96)*

უზენაესი ალლაჰისა და წმინდა შუამავლის სიყვარულის ნიშანი კი მათზე მინდობა და მათი გზით სიარულია. თუკი წმინდა შუამავლის ქადაგებებს არ მივყვებით, მაშინ იმქვეყნად მისთვის ქომაგობის მოთხოვნის მორალური უფლება აღარ გვექნება.

„(მუჰამმედ) უთხარი: თუკი ალლაჰი გიყვართ, მე გამომყევით, რათა ალლაჰმაც თქვენ შეგიწყალოთ და ცოდვები გაპატიოთ. *(სურა ალი იმრანი, აიათი 31)*

სიყვარული, რომელსაც ადამიანი წმინ-

და შუამავლისადმი მორჩილებამდე არ მიჰყავს, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და არავითარი აზრი აქვს.. მათი სიყვარული, რომლებიც ამ გრძნობის გამო მცირედ მსხვერპლსაც კი არ იღებენ, ჩაკეტილ სივრცეში მოხვედრილ იმ ადამიანთა ერთიანობას ჰგავს, რომლებიც მხოლოდ შემთხვევით მოხვდნენ ერთად და ერთმანეთთან არავითარი იდეოლოგია ან გრძნობა აკავშირებთ.

ჰასან ბასრი განგვიმარტავს შემდეგს:

- ო, ადამიანო! არასწორად არ გაიგოთ ჰადისი: *„პიროვნება მასთან ერთადაა ვინც უყვარს“.* თუკი კეთილ საქმეს არ აკეთებ, ღვთისმოსავთა გვერდით ვერასოდეს მოხვდები.

ფუდიალ ბინ ლაიზი საკუთარ თავს შემდეგნაირად განიკითხავდა:

„გსურს სამოთხეში წმინდა შუამავალთან და ღვთისმოსავებთან ერთად იყო, მაგრამ, ამისათვის რა გააკეთე?! რომელ ეგოისტურ ქმედებაზე თქვი უარი?! სიბრაზე როდის დაიოკე ან შენთან არმოსული, რომელი ნათესავი მოინახულე. სულიერ ძმას, რომელი ნაკლი დაუფარე და შეცდომა აპატიე? ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით, რომელ უცხოს დაუახლოვდი ან ახლობელს გაშორდი?!

შეყვარება ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით:

სიყვარულს, სიყვარულითვე უნდა უპასუხო. ასეთი სიყვარული რწმენას გააძლერებს და მის სიტკბოებას გვაგემებს. ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია, რომ რწმენის სიტკბოება მხოლოდ ამ სამი თვისების მქონე მორწმუნემ შეიძლება შეიგრძნოს:

1. ***„ამქვეყნად ყველაფერზე მეტად ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული.***

2. ***ცოდნა იმისა, რომ, მას შემდეგ, რაც ირწმუნე კვლავ ურწმუნოებაში დაბრუნება ცეცხლში ჩავარდნის ტოლფასია.***

3. ***სიყვარულიცა და სიძულვილიც მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით.*** *(იხილეთ. ბუჰარი იმანი, 9.14)*

რწმენის სიტკბოების შეგრძნების ერთ-ერთი პირობა, რა თქმა უნდა ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით სიყვარულია. ზოგიერთი ისალამოლოგი ამ საკითხს შემდეგნაირად განმარტავს:

„ალლაჰის სიყვარულის ერთ-ერთი ნიშანი ყურანის შეყვარებაა. უზენაესი ალლაჰისა და ყურანის სიყვარულის ნიშანი წმინდა შუამავლის სიყვარულია. შუამავლის სიყვარულის ნიშანი მისი გზით სიარულია. ეს გზა კი სუნნეთია. სუნნეთის სიყვარულის ნიშანი, საიქიოს სიყვარულია. საქიოს სიყვარულის ნიშანი კი ისაა, როდესაც უარს ვამბობთ წარმავალზე. წარმავალზე უარის თქმა კი საიქიო საგზლად მის გამოყენებას ნიშნავს.“

მოკლედ და ლაკონურად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი სიყვარული ნიშნავს იმას, რომ გიყვარდეს ისიც, რაც შენი სიყვარულის ობიექტს უყვარს. როდესაც წმინდა შუამავალს ჰკითხეს, რწმენის რომელი ფორმა იყო ყველაზე ძვირფასი, მან ასე უპასუხა:

„გიყვარდეს და გძულდეს ალლაჰის კმაყოფილების მიზნით და ენა ყოველთვის ალლაჰის ხსენებით დაღალო.“ (აჰმედ ბინ ჰანბელ, ელ მუსნედი 5/247)

სიყვარულიცა და სიძულვილიც ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით

როგორც ჩვენთვის ცნობილია, როცა უზენაესმა ალლაჰმა წმინდა მუსას ჰკითხა, თუ რას აკეთებდა იგი ღმერთისთვის, მუსამ, -უპასუხა, რომ იგი ალლაჰისთვის ნამაზს ლოცულობდა, მარხულობდა, მოწყალებას აძლევდა, სეჯდეს ასრულებდა და უზენაესი ალლჰისადმი მადლიერებას გამოხატავდა.

უზენაესმა ალლაჰმა კი შემდეგნაირი პასუხი გასცა:

„მუსა! ნამაზი შენი მეგზური, მარხვა კი *(ცოდვებისგან)* **დამცავი ფარია, შენ მიერ გაღებული მოწყალება იმქვეყნად ჩრდილად დაგიდგება, ხოლო ჩემი სახელის ხსენება გზას გაგინათებს. მხოლოდდამხოლოდ ჩემთვის რა გააკეთე.“**

მუსა შუმავალი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა:

„-ღმერთო ჩემო! ისეთი მონა-მსახურება

მაცნობე, რომელიც მხოლოდ შენთვის იქნება“.

„- ო, მუსა! იმისათვის, რომ შენგან კმაყოფილი ვიყო ჩემ გამო, ვინმე დაიმეგობრე ან მტრად გაიხადე?“

წმინდა მუსას ეცნობა, რომ ალლაჰისთვის ყველაზე ძვირფასი მონა-მსახურება მისი კმაყოფილების მოპოვების მიზნით სიყვარული და სიძულვილია.

გადმოცემის მიხედვით, ამ საკითხის შესახებ ზეშთაგონება წმინდა ისასაც გარდმოევლინა:

„ცხოვრებაში რაც კი გინახავს, ყველა ის ღვთისმსახურება რომ შეასრულო, მაგრამ ჩემი კმაყოფილების მიზნით მეგობრობა და მტრობა არ განახორციელო, ყველა შესრულებული მონა-მსახურება გაუფასურდება“.

ყველა მონა-მსახურება უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით ხორციელდება, ამიტომაც სიყვარულის, სიძულვილის, მეგობრობისა და მტრობის მსგავსი გრძნობების თვითმიზანიც უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს.

წმინდა შუამავალი არასდროს გაბრაზდებოდა, თუ არ ექნებოდა ისეთ საქციელს ადგილი, როგორიცაა უზენაესი ალლაჰის უარყოფა. პიროვნული ინტერესიდან გამომდინარე, იგი არავის არასოდეს უბრაზდებოდა.

მორწმუნემ არასოდეს უნდა აურიოს ურწმუნოებისა და ბოროტების სიძულვილი პიროვნულ სიძულვილში.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფრიადპატივცემული ალის საქციელი. როდესაც ერთ-ერთ ბრძოლაში წარმართმა, რომელიც მან შეიპყრო და მოკვლას უპირებდა, მას სახეში შეაფურთხა, ალიმ შეურაცხყოფის მიმყენებელს თავი გაანება და გზა გააგრძელა. წარმართმა, რომელმაც ვერ გაიგო თუ რა ხდებოდა, ბრძოლას თავი მიანება, ალის აედევნა და როდესაც დაეწია, გაკვირვეულმა ჰკითხა:

- ალი! სადაც იყო უნდა მოგეკალი, რატომ გაჩერდი? მაშინ, როცა საშინლად გაბრაზებული იყავი, გასაოცარმა სიმშვიდემ შეგიპყრო. თუ შეგიძლია ამის მიზეზი ამიხსნა?

ფრიადპატივცემულიმა ალიმ შემდეგნაირი პასუხი გასცა:

- მე მხოლოდ ალლაჰის გზაზე ვიბრძვი. ალლაჰისა და რწმენის მტრებს მისი კმაყოფილების მოპოვების მიზნით ვხოცავ. მაგრამ ამ საქმეში არასდროს საკუთარ ეგოიზმს არ გამოვიყენებ. მაშინ, როცა შენ შემაფურთხე და ამით შეურაცხყოფა მომაყენე, რომ მომეკალი არა ღმერთის კმაყოფილების მიზნით, არამედ საკუთარი სიამაყისა და შურისძიების გამო მოგკლავდი. ეს კი უსამართლობა და დიდი ცოდვაა. მე ადამიანებს არა ჩემი სიამიაყისა და პიროვნული მიზნებისთვის, არამედ უზენაესი ალლაჰის კმაყიფილების მოპოვების გამო ვებრძვი.“

წმინდა ალის ასეთი საქციელის გამო, კაცმა, რომელიც ალის მოსაკლავად იყო მოსული, მისი რწმენა მიიღო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბრაზი და სიძულვილი, რომელიც ადამიანს საკუთარ თავს აკარგვინებს, მხოლოდ ეგოისტურია და არაფერი აქვს საერთო ღმერთის გამო სიძულვილთან. მაგრამ გაბრაზების შეკავება, უსამართლობის, ბოროტების, ანარქიის და უღმერთოების წინ არამხედრებას როდი ნიშნავს. პირიქით, როდესაც მორწმუნე ადამიანი მსგავს ბოროტებებს შენიშნავს, მას წინ უნდა აღუდგეს და ყველანაირი მეთოდით ებრძოლოს.

ფრიადპატივცემული ომარი, წარმართობის, უმეცრების, ბოროტებისა და უსამართლობის წინაღმდეგ ბრძოლაში საკმაოდ მკაცრი და ხისტი იყო, მაგრამ ასევე ლმობიერი და მოსიყვარულე იყო მორწმუნეებთან მიმართებაში. მას რაც უყვარდა უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების გამო უყვარდა, ასევე იყო სიძულვილის შემთხვევაშიც.

უზენაემა ალლაჰმა მოგვცეს ისეთი გული, რომელშიც სიყვარული და სიძულვილი უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით იქნება.

ამინ! ■

თარგმნა: თ. გორგაძემ

ქართლის მეფე – დავით XI ანუ დაუდ-ხანი

მიხეილ გელაძე

1569-1578 წლებში ქართლში, ლუარსაბ I-ის ძე, დავით XI მეფობდა. იგი თავის ძმას, ქართლის მეფე სვიმონ I-ს განუდგა და ზოგიერთ თავადთან ერთად 1562 წელს შაჰ-თამაზ I ყაზვინში ეახლა. იქ მან ისლამი მიიღო და დაუდ-ხანი გახდა.

შაჰმა გადაწყვიტა დაუდ-ხანი ანუ დავითი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა და სვიმონ პირველისთვის დაეპირისპირებინა. ამიტომ დაუთ-ხანს მან „შვილის“ წოდება მიანიჭა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლად დანიშნა და საქართველოში გამოისტუმრა. ასე დამყარდა ქართლში ორხელისუფლებიანობა (ქართლის დანარჩენი ნაწილი სვიმონ I-ს ემორჩილებოდა).

1567 და 1568 წლებში დიღომთან და სამადლოსთან სვიმონ პირველის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუთ-ხანი დამარცხდა, მაგრამ თბილისი მაინც შეინარჩუნა.

1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში, სვიმონ I-ის დატყვევების შემდეგ, დაუდ-ხანი ქართლის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა. მისი ხელისუფლება ფაქტობრივად მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. იგი ხარკად ირანს წელიწადში 20.000 დუკატს უხდიდა.

1578 წელს, როცა ოსმალთა ჯარი საქართველოში შემოიჭრა, დავით მეთერთმეტემ თავი ლორეს შეაფარა. იმავე წელს ირანის შაჰმა სვიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლში დააბრუნა.

დაუდ-ხანმა ქართლის ციხეები ოსმალთა სარდალს გადასცა, თვითონ კი სტამბოლში წავიდა, სადაც დიდი პატივით მიიღეს და საჩუქრად ორი პატარა სოფელი უბოძეს.

XVI საუკუნე იყო ის ეპოქა, როდესაც გაჩნდა უდიდესი კონფლიქტი ძველ ირანსა და პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსულ ოსმალეთს შორის. საქართველოს, უნდოდა თუ არა ეს, უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიეღო ამ კონფლიქტში, რადგანაც უაღრესად დამოკიდებული იყო ირანზე, თანაც ირანის კომუნიკაციური და სავაჭრო გზები საქართველოზე გადიოდა. ოსმალეთი ცდილობდა ამ გზების ხელში ჩაგდებით ჩამოეშორებინა ირანისთვის უმდიდრესი

სახანოები და სამფლობელოები, რომლებიც შორეულ ასტრახანამდე აღწევდა, ამ გზით დაესუსტებინა უძლიერესი მეტოქე და მთელ მცირე აზიაში გაბატონებულიყო.

იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკა ამ ორ ორიენტაციას შორის მერყეობდა. იყვნენ მეფეები, რომელნიც მხარს უჭერდნენ ირანულ ორიენტაციას, იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ოსმალეთს ემხრობოდნენ, ზოგჯერ სპარსული ორიენტაციის მქონე მეფე, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ოსმალეთის მხარეზე გადადიოდა და პირიქით.

ასეთ პოლიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა დავით ბაგრატიონი ანუ დაუდ-ხანი. იგი თავდაპირველად ირანის ინტერესების გამტარებელი იყო, მაგრამ ირანმა საქართველოში ოსმალებთან ბრძოლებში განცდილი, რამდენიმე მწარე მარცხი მას გადააბრალა და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. როდესაც სპარსელთა მუხანათობა შეიტყო, დაუდ-ხანი სტამბოლში წავიდა. ეს იყო 1578 - წელს. ისტორიული წყაროების მიხედვით, მეფე დავითი 1585 წლამდე სტამბოლში დარჩა და იქ გარდაიცვალა. დავითმა საქართველოში 9 წელი, 1569-1578 წლებში იმეფა.

როგორც მეფე, ის სრულიად არ ყოფილა დაინტერესებული სამეფო საქმეებით. ის უმეტესწილად ქვეშის ციხეში ცხოვრობდა „და განსცხრებოდა ხორციელად“... და თუ „როდისმე ჩავიდოდა ტფილისს არაფრისთვის მზრუნველი არ იყო“. (ვახუშტი).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შეეძლო ოსმალთა კეთილგანწყობა გამოეყენებინა და ქართლის ტახტისთვის მათივე დახმარებით ებრძოლა, მაგრამ დაუდ-ხანის ანუ დავით ბაგრატიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მან არ გააკეთა.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული მეფე დავითი, სახელმწიფო საქმეებს განერიდა და სულთან მურადთან სტამბოლში წავიდა, იქ მან მეცნიერებათა შესწავლა დაიწყო. ეცნობოდა მწიგნობრებს, ფილოსოფოსებს და მათ წიგნთსაცავებს. მისი ყურადღება, განსაკუთრებით, მედიცინამ მიიპყრო, მან საფუძვლიანად შეისწავლა ეს მეცნიერება და შთამომავლობას უძვირფასესი განძი, საექიმო წიგნი „იადიგარ დაუდი“ დაუტოვა.

წიგნში მოყვანილია იმ დროში ცნობილი თითქმის ყველა დაავადების მკურნალობის გზები და მეთოდები. ეს სამედიცინო სახელმძღვანელო, თითქმის, მეოცე საუკუნის შუახანებამდე, ანუ მანამადე, სანამ მედიცინა თანამედროვე სახეს მიიღებდა, თითოეული ქართული ოჯახის ფასდაუდებელი ატრიბუტი იყო და დღესაც მედიკოსები ბევრ შემთხვევაში ავადმყოფებს „იადიგარ დაუდში“ მოყვანილი მეთოდებით მკურნალობენ.

„იადიგარ დაუდი“ ქართული მედიცინის ისტორიის დღემდე დაცულ წერილობით წყაროთა შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია. მასში მოცემულია ძველი ქართული სამედიცინო და ფილოსოფიური კონცეფციის ამსახველი მასალები. ცალკე თავებში განხილულია ანატომიურ-ფიზიოლოგიური მოძღვრება, სადაც ავტორი ვრცლად და ყოველმხრივ განიხილავს ჰიგიენის, დიეტოლოგიის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

წიგნის სიძველის მიუხედავად დაკვირვებული მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას იპოვის, როგორც პრაქტიკული, ისევე თეორიული მედიცინის საკითხების თვალსაზრისითაც. რაც შეეხება წიგნის ისტორიულ მნიშვნელობას და მის ღირებულებას, იგი ნამდვილად შეუფასებელია.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ დავით ბაგრატიონმა ანუ დაუდ ხანმა პოლიტიკურ ასპარეზზე დიდი ნიჭი ვერ გამოავლინა, მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობითა და უპირველეს ყოვლისა სამედიცინო კარაბადინ „იადიგარ დაუდის“ შექმნით ქართველ ერს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

გამოყენებული ლიტერატურები:

ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტომი I

ლევან სანიკიძე „დედა ისტორია“.

აბდესი

აბდესი არის სისუფთავე, რომლის დროსაც სხეულის განსაზღვრული ნაწილები, წესისამებრ, უნდა დაიბანო. აბდესი ღვთისმსახურებების შესრულებისთვის საჭირო სისუფთავის ფორმაა და ზოგიერთი ღვთისმსახურებისთვის, ისე როგორც ნამაზისთვის, ფარძია (აუცილებელი). უაბდესო ადამიანი ნამაზს ვერ ილოცავს, ქააბას გარს ვერ შემოუვლის, ყურანს ვერ შეეხება.

1) აბდესის მნიშვნელობა

აბდესი არის როგორც მატერიალური სისუფთავის ფორმა, ასევე სულიერი გასუფთავებისა და განწმენდის საშუალება. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი ჰადისი არსებობს. ისინი გვამცნობს, რომ აბდესი რწმენის ნახევარია, აბდესის აღებისას სხეული ცოდვებისგან თვისუფლდება, განკითხვის დღეს მუსლიმანებს აბდესის წყალობით სახე, ხელები და ფეხები გაბრწყინებული ექნებათ.

აბდესის აღებით ბევრ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სიკეთეს მოვიპოვებთ. აბდესის აღებისას ისე, როგორც სხეულის განსაზღვრული ნაწილები წყლით სუფთავდება, ასევე სული ჭუჭყისა და ცოდვებისგანაც იწმინდება.

ა) აბდესი ცოდვებისგან გვწმენდს

აბდესი ადამიანს სულიერი ჭუჭყისგანაც ისევე წმენდს, როგორც მატერიალურისგან. ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც ბრძანებისამებრ, აბდესს აიღებს და ნამაზს ილოცავს, წარსულში ჩადენილი ცოდვები მიეტევება.“ (ბუჰარი, ვუდუ, 28)

ის, რომ აბდესისთვის სხეულის ოთხი ნაწილია გამოყოფილი, ასე შეიძლება აიხსნას:

წმინდა ადამი სახით აკრძალულ ხისკენ შეტრიალდა, ხელით ნაყოფი მოწყვიტა, ფეხით მისკენ წავიდა და მას რომ შეეხო, ხელი თავზე დაიდო. ცოდვების გამოსასყიდად უდიდესმა ღმერთმა ადამს სხეულის ამ ნაწილების დაბანა უბრძანა.

ყველა წესის დაცვით აღებული აბდესი, ადამიანის მიერ ცოდვების ჩადენის დროს, ყველაზე მეტჯერ გამოყენებულ სხეულის ნაწილებს ცოდვებისგან წმენდს. ჰადისში ნაბრძანებია:

„მუსლიმანი (მორწმუნე) ადამიანი აბდესს თუ აიღებს და სახეს დაიბანს, ყველა ცოდვა, რომელიც შეხედვით ჩაიდინა, აბდესის წყლით (ან წყლის ბოლო წვეთით) სახიდან ჩამოიბანება; ხელების დაბანისას მათ მიერ ჩადენილი ცოდვები აბდესის წყლით (ან წყლის ბოლო წვეთით) ხელებს მოშორდება. ფეხების დაბანისას მათი სიარულისას ჩადენილი ცოდვა აბდესის წყლით (ან წყლის ბოლო წვეთით) ფეხებს მოშორდება. შედეგად ეს ადამიანი ცოდვებისგან განწმენდილი იქნება.“ (ეთ თერღიბ ვეთ თერჰიბ, ტ. 1, გვ. 155)

ადამიანის ყველა ორგანო ცოდვას სჩადის. აკრძალულზე შეხედვა - თვალის, აკრძალული სიტყვების მოსმენა - ყურის, ბოროტი და უწმაწური, აკრძალული სიტყვის წარმოთქმა - ენის, აკრძალულზე შეხება - ხელის, ხოლო აკრძალულ ადგილზე წასვლა ფეხის ცოდვაა. ჩვენი სხეულის ყველა ნაწილი და ორგანო ჩვენთვის მობარებული ალლაჰის ამანათია. მათი ყველაზე ლამაზი ფორმით გამოყენება და ამანათის მოფრთხილებაა საჭირო. აგრეთვე ყველა ორგანო, ჩადენილი ცოდვის გამო, განკითხვის დღეს პატრონის შესახებ მოწმეობას გასწევს. წესისამებრ აღებული აბდესის შემთხვევაში ადამიანის მთელი სხეული ცოდვებისგან იწმინდება.

აბუ მუსლიმ ტალები გადმოგვცემს:

„აბუ უმამე მეჩეთში იმყოფებოდა, მასთან მივედი და ვუთხარი:

„აბუ უმამე! ერთმა კაცმა თქვა, რომ შენც გაიგონე წმინდა შუამავლმა როგორ ბრძანა:

„ვინც ლამაზად აბდესს აიღებს, შემდეგ ფარძ ნამაზს ილოცავს, მას მიეტევება ცოდვები, რომლებიც იმ დღეს ფეხებმა — სიარულით, ხელებმა — შეხებით, ყურებმა — მოსმენით და თვალებმა — შეხედვით ჩაიდინეს.“

აბუ უმამემ ასე თქვა:

„ღმერთმანი, ეს მე წმინდა შუამავლისგან რამდენჯერმე გავიგონე.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი)

ამრ იბნ აბესე გადმოგვცემს:

„შუამავალს ვკითხე:

„ალლაჰის შუამავალო, აბდესის შესახებ მომიყვებით?“

ალლაჰის შუამავალმა მიპასუხა:

„თქვენგან, ვინც აბდესის აღებას დაიწყებს, პირში და ცხვირში წყალს გამოივლებს, ამ წყლებს პირით ჩადენილი ცოდვები თან გამოყვება. შემდეგ, ალლაჰის ბრძანების შესაბამისად, პირის დაბანის დროს დაღვრილ წყალს სახის მიერ ჩადენილი ცოდვები ჩამოყვება. ამგვარადვე ალლაჰის ბრძანების შესაბამისად იდაყვებამდე მკლავების დაბანის დროს თითებს შორის გამოსულ წყალს ხელით ჩადენილი ცოდვები გამოყვება. უდიდესი ალლაჰის ბრძანების შესაბამისად, თავზე ხელის გადასმას თავით ჩადენილი ცოდვები გამოჰყვება, ასევე უდიდესი ალლაჰის ბრძანების შესაბამისად, კოჭებამდე ფეხების დაბანის დროს ფეხებით ჩადენილი ცოდვები ფეხის თითებს შორის გამოსულ წყალს გამოჰყვება. აბდესის დამთავრების შემდეგ თუ ადგება, ალლაჰს მადლობას გადაუხდის და საკადრისად აქებსა და ადიდებს და ორ მუხლ ნამაზს ილოცავს, ყველა ცოდვისგან განიწმინდება და გახდება ისეთი, როგორიც ახალშობილი“ (მუსლიმი, მუსაფირინი, 294)

სხვა ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც ლამაზად აბდესს აიღებს, იმ ადამიანის ცოდვები მთელი სხეულიდან, ფრჩხილების ჩათვლით, გამოვა.“ (მუსლიმი, მუსაფირუნი, 33)

ლამაზად აბდესის აღება, მისი ფარძების, სუნნეთისა და წესების მიხედვით აღებას ნიშნავს. ამ მდგომარეობაში, უპირველესად, იმის შესწავლაა საჭირო, ესენი რა არის. აბდესის სუნნეთბია: მისი „ბესმელეთი“ დაწყება და მიზნის დასახვა, ორგანოების გულდასმით დაბანა და ყველა მოქმედების სამჯერ გამეორება, თუ შესაძლებელია აბდესის აღებისას ყიბლისკენ მიტრიალება, სხეული თითოეული ნაწილის დაბანისას შესაბამისი ვედრებების წაკითხვა, პირისა და ცხვირის ლამაზად გამოსუფთავება, წყლის ზომიერად გამოყენება...*(იმამი ნევევი, რიაზულ სალიჰინი, ტ. 5, გვ. 165)*

ადამიანი, რომელიც ამგვარად აბდესს აიღებს პატარა ცოდვები და უნებლიედ ჩადენილი შეცდომები მიეტევება. მაგრამ არ მიეტევება დიდი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდვები.

ყველა ცოდვა სიბინძურეა, ღვთისმსახურებები კი განმწმენდაა. ცოდვები ორგანოებიდან აბდესის წყალთან ერთად გამოდის. სწავლულები, აბდესის აღების დროს გრძნობდნენ, თუ როგორ იწმინდებოდნენ ცოდვებისგან. ცნობილია, რომ იმამი აზამი გრძნობდა, თუ როგორ გამოყვებოდა აბდესის აღების დროს წყალს ცოდვები. *(მ. ზ. ქანდეჰლევი, მუსლუმან შაჰსიეთი, გვ. 251)*

შუამავლის თანამიმდევრები აბდესს ისე იღებდნენ, როგორც ამას წმინდა შუამავალი აკეთებდა. გარდა ამისა ისნი ამ მეთოდს სხვებსაც აჩვენებდნენ და აბდესის სწორად აღებას ასწავლიდნენ. ებან იბნ ჰურმანი გადმოგვცემს:

„მე ვუყურე აფფანის შვილის, ოსმანის, მიერ აბდესის აღებას. ხელზე სამჯერ წყალი დაისხა, დაიბანა, დაისრისა. შემდეგ პირში და ცხვირში სამჯერ წყალი შეისხა. სახეც სამჯერ დაიბანა. ასევე, პირველად მარჯვენა შემდეგ კი მარცხენა მკლავი იდაყვების ჩათვლით, სამსამჯერ დაიბანა და მერე სველი ხელი თავზე გადაისვა. ფეხებიც დაიბანა და თქვა:

„მე დავინახე, თუ როგორ იღებდა ალლაჰის შუამავალი აბდესს და გავიგონე როგორ ბრძანეა:

„ვინც ისე აიღებს აბდესს, როგორც მე და ორ მუხლ ნამაზს ილოცავს ისე, რომ გულში არაფერს გაივლებს, ალლაჰი მას წარსულში ჩადენილ ცოდვებს მიუტევებს.“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 3)

წმინდა შუამავალმა ერთ დღეს თანამიმდევრებს ჰკითხა:

„გინდათ გამცნოთ იმ სიკეთეების შესახებ, რომლებიც თქვენს ცოდვებს წაშლის, მათი მიტევების საფუძველი გახდება და თქვენს საფეხურებს აამაღლებს?“

თანამიმდევრებმა ერთხმად უპასუხეს:

„დიახ, ალლაჰის შუამავალო!“

მან ბრძანა:

„მიუხედავად იმისა, რომ ვნებას არ მოსწონს აბდესის აღება, მეჩეთებში სიარულის მომატება, ეს ყველაფერი იმდენ მადლს მოიტანს, რამდენსაც საზღვრის გასწვრივ მტრის მოლოდინში ყარაულობა.“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 41)

მასალა მომზადებულია „ჩემი თვალის ჩინი ნამაზის“ მიხედვით

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ძვირფასო მკითხველო! ჟურნალ „ახალი მთვარის“ რედაქციაში დაგროვდა თქვენ მიერ დასმული უამრავი კითხვა, რომლებიც, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება ფართო მკითხველისათვისაც. ამიტომ გადავწყვიტეთ შემოვიღოთ ახალი რუბრიკა, „გპასუხობთ თეოლოგი“, რომელშიც თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებს უპასუხებენ ჩვენი თეოლოგები. ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყენებულ კითხვებს პასუხობს თეოლოგი რეზო მიქელაძე.

კითხვები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

ქალაქი ბათუმი, ქუთაისის ქუჩა № 33

ან ელექტრონული ფოსტით: info@muslim.ge

რას გვეტყვით ბავშვის გაშვილების ან შვილად აყვანის შესახებ. როგორ უყურებს ისლამი ამ საკითხს?

შვილად აყვანა ან გაშვილება, სოციალური და იურიდიული მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა ერებსა და რელიგიებში, წარსულშიც იყო და დღესაც გრძელდება. როდესაც ამ თემას ისლამის ფარგლებში განვიხილავთ, უნდა გადავხედოთ, ისლამის პირველ წლებს, და იმას თუ როგორ იყო ეს მოვლენა მაშინ, და რა ზომები მიიღო ისლამმა მისი რელიგიურ და ლოგიკურ ჩარჩოებში მოსაქცევად. შევეცდებით პირველად შვილად აყვანის თემა განვმარტოთ. ისლამამდელ არაბეთის ნახევარკუნძულზე, შვილად აყვანა საზოგადოებაში გავრცელებული მოვლენა იყო. თუკი ვინმე უდედ-მამოდ ან უსახლკაროდ დარჩებოდა მას, შვილად აიყვანდნენ, მემკვიდრეობას არგებდენ, თავის გვარსა და სახელს მისცემდნენ. ერთი სიტყვით იგი ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ყველანაირი ურთიერთობა წყდებოდა. როგორც მოგეხსენებათ იმ დროისათვის არსებული უამრავი პრობლემა ისლამმა თანდათან და მთლიანად გადაწყვიტა, ასევე მოხდა „შვილად აყვანის“ საკითხიც. ისლამის მიხედვით შვილად აყვანილნი თავიანთი მამების სახელით უნდა მოვიხმოთ. ეს უფრო სამართლიანი იქნება ალლაჰის წინაშე. და თუ მამების ვინაობა არ ვიცი, მაშინ თავისთავად ისინი რელიგიურად ძმები არიან ახლო მეგობრები არიან. ისლამურ წყაროებში ნათლად ჩანს შვილად აყვანის აკრძალვა პირველი: შვილად აყვანილები არ არიან თქვენი შვილები. მეორე: თუკი მოხდა შვილად აყვანა და ბავშვის მეურვე არა არის ინფორმირებული მისი გვარის გაგრძელების საკითხში მტკიცე აკრძალვის შესახებ, და მას მისცა თავისი გვარი და სახელი, რომელიც ისლამში კატეგორიულად არის აკრძალული. ეს ჩაითვლება იმ უმეცრული ეპოქის ადათად, რომელიც არაბეთის ნახევარ კუნზულზე ისლამამდე იყო გავრცელებული. ამ ყველაფერიდან გამომდინარე ნათლია, რომ ზემოთ აღნიშნული პირობის გამო შვილად აყვანა ისლამში აკრძალულია.

რაც შეეხება ისლამში გაშვილებას, ესეც კატეგორიულად არის აკრძალული. დედ-მამა ვალდებულია ყველაფრის ფასად მოუაროს თავის შვილს და აღზარდოს კეთილად და პატიოსან ადამიანად. თუმცა ამასთან ერთად, საყვარელი შუამავალი უამრავი ჰადისით გვამცნობს, თუკი რაოდენ დიდი მადლია, უპატრონო და ობოლი ბავშვების მოვლა-პატრონობა. თუ ოჯახს შესაძლებლობა აქვს უპატრონო ბავშვებს მოუაროს და ადათის თანახმად აღზარდოს, ეს ძალიან დიდი მადლია, მანამ სანამ შეძლებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას, ე.ი. ვიდრე ზრდასრული გახდებოდნენ, შემდეგ კი, მისი, იმ ოჯახის გვერდით ცხოვრება არა არის მიზანშეწონილი და არც მემკვიდრეობის მიღება შეუძლია. მაგრამ თუკი ისურვებს მასზე მემკვიდრეობის დატოვებას ანდერძით ერთი მესამედის გადაცემა შესაძლებელია, რომლის განკარგვის უფლება აქვს ქონების მეპატრონეს, დანარჩენი სამი მეორედის გახარჯვა ყურანითა და სუნნეთით ნათლად გარჩეულია და მას ანდერძი არ ესაჭიროება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ აქვს მნიშვნელობა ის გოგო იქნება თუ ბიჭი, იმ პირობით, რომ იგი გახდება მათი გვარის მატარებელი და მათი ქონების მემკვიდრე, ან ზრდასრულობის შემდეგ მეურვე ოჯახში გააგრძელებს ცხოვრებას, მისი შვილად აყვანა არ შეიძლება. გამომდინარე იქიდან, რომ იგი უცხოა მეურვე ოჯახისთვის რაც სცდება ისლამური ოჯახის პრინციპებს.

რეზო მიქელაძე

აიათები

✿ *მაშ, სახე (და გული) ჭეშმარიტი სარ - მუნოების - ისლამისკენ იბრუნე. ადამიანების გაჩენისას ალლაჰის მიერ ბოძებული ბუნების შესაბამისად იმოქმედე.* (სურა რუმი, აიათი 30)

✿ *უეჭველად, ადამიანი (ნაერთი) წვეთი - გან გავაჩინეთ, და ვაქციეთ იგი მსმენელად და მხედველად, რათა გამოგვეცადა. უეჭველად, ჩვენ მას ჭეშმარიტი გზა ვუჩვენეთ, უნდა მად-ლიერი იყოს უნდა უმადური.* (სურა ინსანი, აიათები 2-3)

✿ *(იგია ალლაჰი) რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ, თუ რომელი თქვენგანია საქმით საუკეთესო.* (სურა მულქი, აიათი 2)

✿ *ნუთუ ადამიანს ჰგონია, რომ უმეთვ - ლყურად და უპასუხისმგებლოდაა მიტოვებუ-ლი?* (სურა ყიამეთი, აიათი 36)

✿ *მორწმუნეებს ყველაზე მეტად ალლაჰი უყვართ."*(სურა ბაყარა, აიათი 165)

✿ *და, (აგრეთვე) უთხარი, მორწმუნე ქ - ლებს: „მზერა დაიოკონ, ნამუსს მოუფრთხ-ილდნენ და ნუ გამოაჩენენ თავიანთ (ბუნებრივ და ხელოვნურ) მორთულობებს გარდა იმისა, რაც (თავისთავად) მოსჩანს. გადმოიფარონ თავიანთი თავსაფარი (უბის) საკინძეებზე და ნუ(რავის) გამოუჩენენ თავიანთ ზიინეთებს, გარდა თავიანთი ქმრებისა, ან მამებისა, ან ქმრების მამებისა (მამამთილებისა), ან (თავი-ანთი) ძეებისა, ან ქმრების ძეებისა (გერებისა), ან ძმებისა, ან ძმების ძეებისა (ძმისწულებისა), ან დის ძეებისა (დისწულებისა), ან (ზრდილო-ბიანი) ქალებისა, ან მხევლებისა, ან (ცვედანი) ქალებისადმი ლტოლვაუქონელი (ზრდილობი-ანი) ყმამსახურ კაცებისა, ან (მცირეწლოვანი) ბავშვებისა, რომელებსაც ქალური სიშიშვლის არ გაეგებათ. აგრეთვე (უთხარი სიარული-სას) ფეხებს ნუ დასცემენ (მიწაზედ) ისე, რომ გამოუმჟღავნდეთ (ტანთ)მოკაზმულობანი, რომლებსაც ფარავენ. ო, თქვენ რომელთაც ირ-წმუნეთ! ალლაჰის წინაშე მოინანიეთ – რათა, ეგების გადარჩეთ!* (სურა ნური, აიათები 24/31).

ჰადისები

✿ *სიმდიდრესა და კეთილდღეობისას ღმერთი გაიხსენე, რათა მანაც გაჭირვებისას გაგიხსენოს.* (აჰმედ იბნ ჰანბელ, მუსნედი, I, 307)

✿ *როგორიც უნდა წარმოვიდგინოთ ა - ლაჰი, ის მისგან განსხვავებულია, თქვენ ალ-ლაჰის გაჩენილებზე იფიქრეთ.* (ჰეისემი მეჯ-მაუზ — ზევაიდ I-81)

✿ *„მორწმუნეები ურთიერთსიყვარუ - ში, მწუხარების გაზიარებასა და ერთმანეთის დაცვაში ერთ სხეულს ჰგვანან, ორგანიზმის ერთი ნაწილი თუ დაავადდება, ამ ტკივილებს დანარჩენი ნაწილებიც შეიგრძნობენ".* (ბუჰარი, ედები, 27)

✿ *„თუკი რომელიმე თქვენგანი, ისლ - მის მიხედვით, ლამაზად იცხოვრებს, გაკეთე-ბული ყველა სიკეთის სანაცვლოდ ათიდან შვიდასამდე მადლს მოიგებს. ხოლო, თუ ერთ ცოდვას ჩაიდენს, მხოლოდ ერთი ცოდვა დაეწ-ერება."* (ბუჰარი, იმანი, 31)

✿ *ვინც რამაზნის ღამეებს, რწმენით და მადლის ალლაჰისგან მოლოდინით, ღვთისმ-სახურებაში გაატარებს, მას წარსული ცოდ-ვები ეპატიება.* (ბუჰარი, თარავიჰი, 46)

✿ *თუკი ამანათი არ დაუბრუნდება მეპ - ტრონეს, ეს ქვეყნიერების აღსასრულის მოახ-ლოების ნიშანია.* (ბუჰარი, ილიმი, 2)

✿ *ვინც ეზანს გაიგონებს და მეჩეთში არ მივა და ნამაზს ჯამაათით არ ილოცავს, მისი ნამაზი სრულყოფილი არ არის. თუ საპატიო მიზეზი არსებობს, ეს სხვაა.* (იბნ მაჯე, მესაჯიდი, 17).

✿ *ვინც ძილისწინა ნამაზს ხალხთან ერთად, ე. ი. ჯამაათით ილოცავს, ღამის ნახ-ევარი ლოცვაში რომ გაატაროს იმის ტოლ-ფასია, ხოლო ვინც დილის ნამაზს ჯამაათით ილოცავს, იგივეა რაც მთელი დღე ლოცვაში გაეტარებინოს.* (მუვატტა, სელათუ ჯემაღე)



ხოჯა ნასრედინის ოხუნჯობანი

მოამზადა გელა გოგიჩიძემ

1. ხოჯა ნასრედინი მეჩეთში ქადაგებას კითხულობდა.

—ხალხო ფრთხილად იყავით! ცოლებს და ქალიშვილებს მორთულ- მოკაზმულ და ნახევრად შიშველ მდგომარეობაში ქუჩაში სეირნობის უფლებას ნუ მისცემთ.

—ხოჯავ, კი მაგრამ, შენი ქალიშვილი რომ ამას აკეთებს.

— აბა, და თან ყველაფერი როგორ შვენის, არა?

2. ხოჯა ნასრედინს მეზობელმა ჰკითხა:

- ბატონო ჩემო, ხომ ხედავ ეს ხალხი რაოდენ უცნაურია?

ხოჯამ კითხვა შეუბრუნა:

რაში ხედავ უცნაურობას?

რატომ ხდება, რომ გათენდება თუ არა, ხალხის ერთი ნაწილი ერთი, ხოლო მეორე ნაწილი მეორე კუთხისკენ მიდის?

ხოჯას გაეღიმა და მიუგო:

- რატომ არ უნდა მოხდეს? აბა ყველა ერთ კუთხისკენ რომ წავიდეს, ამ პატარა ქვეყნის წონასწორობა ხომ დაირღვევა.

3. ხოჯა ნასრედინი ერთ-ერთ სოფელში სტუმრად იყო. მასპინძელმა და მან ძილისწინა ნამაზი ერთად ილოცეს, შემდეგ კი საუბარი გააბეს. უკვე გვიანი იყო, თუმცა ხოჯას ლაპარაკს დასასრული არ უჩანდა, ამიტომ ძილმორეულმა მსმენელებმა ხოჯას დელიკატურად კითხეს:

—ხოჯა, კაცს როდის ამთქნარებს?

მასპინძელს ხოჯისთვის ვახშამი არ ჰქონდა მირთმეული და ამიტომ მისი მუცელი შიმშილისგან ზარებს სცემდა. ამიტომაც ხოჯამ პასუხი არ დააყოვნა და მაშინვე მიუგო:

- ან შიმშილისგან ან კიდევ უძილობისგან. შემდეგ მან თავს ძალა დაატანა, დაამთქნარა და თქვა:

- მაგრამ მე ჯერ არ მეძინება.

4. სამი წლის დაქორწინებული ქალის

დაფეხმძიმებას საშველი არ დაადგა. დედამთილი და ქმარი, რძალსა და რძლის დედას ისე სდებდნენ ბრალს, თითქოს მათ დანაშაულში სრულად იყვნენ დარწმუნებულნი.

ერთ მშვენიერ დღეს, დედამთილმა რძალს ხელი მოჰკიდა და ხოჯა ნასრედინთან წაიყვანა.

- ხოჯავ! ჩემს რძალს სამი წელია შვილი არ ეყოლა. ეს რა ბედში ჩავვარდით და რა უბედურ ოჯახს გადავეყარეთ. გინდა ნუსხა დაგვიწერე, გინდა ღმერთს შეევედრე, როგორმე უნდა გვიხსნა ამ დარდისგან.

ხოჯამ დადარდიანებულ რძალს სახეზე შეხედა და უთხრა:

- შვილო! შენი საგვარეულოს გენები ხომ არ გამოგყოლია? ნეტავ, დედაშენიც უშვილო ხომ არ არის?

5. მთვრალი ჯარისკაცი სამხედრო ტრიბუნალს წარუდგინეს და ჰკითხეს:

-ბატონო მოსამართლევ! რა სახის სასჯელის შეფარდებას გვიბრძანებთ, მთვრალი ჯარისკაცისთვის?

მოსამართლემ იღრიალა:

სამასი როზგი უთავაზეთ!

ამ დროს ხოჯა ნასრედინი მოსამართლის სანახავად იყო მისული. როცა სამასი როზგი გაიგონა, გადაიხარხარა.

- რატომ იცინიხართ?- დაუღრიალა მოსამართლემ.

- პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ ან თვლა არ იცით კარგად, ან კიდევ როზგი არასოდეს მოგხვედრიათ...

6. ერთხელ ხოჯა ნასრედინი ვირს სცემდა, ეს რომ თემურ ლენგმა დაინახა გაკიცხა:

-ვირს რატომ სცემ, ცოდვა არ არის საბრალო პირუტყვი?

ნათქვამს ბრძანებაც მიაყოლა: -

- დღეის შემდეგ, სამი კვირის განმავლობაში, მძიმე ტვირთს არ აჰკიდებ და კარგად მოუვლი.

ხოჯა ნასრედინი, ბრძანებისამებრ, მოიქცა. ორი- სამი კვირის შემდეგ ვირი მოსულიერდა და ყროყინიც კი დაიწყო. ხოჯას თემურ ლენგის ნათქვამი გაახსნდა და ვირს უთხრა:

-იყროყინე, რამდენიც გენებოს. რაღა გინდა მეტი, თემურ ლენგისთანა მფარველი გამოგიჩნდა და შენ ადგილზე ყველა იყროყინებდა. ■

იცით თუ არა რომ?

მოამზადა გელა გოგიტიძემ

❖ თუკი დაცემინებისგან თავის შეკავებას შევეცდებით, ამან შეიძლება თავის ან კისრის სისხლძარღვების გაწყვეტა გამოიწვიოს და სიკვდილის მიზეზი გახდეს.

❖ გველს შეუძლია სამი წელი იძინოს.

❖ ღორებს, თავიანთი სხეულის აგებულების გამო, არ შეუძლიათ თავის ზემოთ აწევა, გამომდინარე აქედან ისინი ზეცას ვერასოდეს შეხედავენ.

❖ თაფლი ერთადერთი სურსათია, რომელიც არ ფუჭდება.

❖ ადამიანი წელიწადში სულ მცირე 1460 სიზმარს ხედავს.

❖ წყალი რომელსაც ვსვამთ, 3 მილიარდი წლისაა.

❖ წყალქვეშ ჭიანჭველას სამი კვირის

განმავლობაში შეუძლია სიცოცხლის შენარჩუნება.

❖ ადამიანის გული წუთში 60-80 ჯერ სცემს.

❖ დილით ვაშლი ყავაზე უფრო სწრაფად გამოგაფხიზლებთ.

❖ ხელის ფრჩხილები ფეხის ფრჩხილებზე ოთხჯერ უფრო სწრაფად იზრდება.

❖ ჩინეთში ინგლისურად მოლაპარაკეთა რიცხვი, ა.შ.შ.-ში მცხოვრებთა რიცხვზე მეტია.

❖ ყველაზე ტანმაღალი ადამიანი აშშ-ეს მოქალაქე პროფ.დრ ვადლოვი 1940 წელს გარაიცვალა, მისი სიმაღლე 2, 72 სმ. იყო.

❖ კოკა-კოლას ბუნებრივი ფერი მწვანეა.

❖ ბავშვები გაზაფხულზე უფრო სწრაფად იზრდებიან ვიდრე წელიწადის სხვა დროს.

❖ ძვირფასი ქვების უმეტესი ნაწილი რამდენიმე ელემენტისგან შედგება, მხოლოდ ბრილიანტია, რომელიც მხოლოდ ნახშირწყლებს შეიცავს.

❖ ურანი ერთადერთი პლანეტაა, რომლის დანახვა შეუიარაღებელი თვალით არის შესაძლებელი.

❖ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქალები დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ტანდაბლები გახდებიან.

ეს საინტერესოა...

მოამზადა თემურ გორგაძე

ავტომობილი უსინათლოთათვის



ამერიკელმა მეცნიერებმა უსინათლოთა ეროვნული ფედერაციის დახმარებით, უსინათლოებისათვის პირველი ავტომობილი შექმნეს. ამერიკული პრესის ინფორმაციით, ყველგანმავალი „Ford escade-s“ (ფორდ ესკორტის) მოდელი, რომელიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით, ლაზერითა და ვიდეოკამერებით, 2011 წლის იანვარში უნდა გამოჩენილიყო მაგრამ ჯერჯერობით მისი გამოცდა მიმდინარეობს.

ვირჯინიის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა მტკიცებით, ტექნიკური პროგრესი იძლევა საშუალებას, რომ უსინათლომ ავტომობილი დამოუკიდებლად მართოს. მეცნიერებმა მოახერხეს „მძღოლ-შემსრულებლის“ პრობლემის დაძლევა: უსინათლო მძღოლს საავტომობილო გიდი ხმით ატყობინებს, სად და როგორ უნდა იაროს, როდის დააწვეს გაზსა თუ მუხრუჭს.

გამოგონების მიხედვით, გზის გაგნებაში მას ეხმარება სპეციალური ხელთათმანიც, რომლის სათითურები ვიბრაციით ამცნობენ, საით გაუხვიოს. ვიბრაციითვე ააჩქარებს ან შეანელებს მოძრაობას მძღოლი, რომელსაც სპეციალური ჟილეტი ეცმება. საგანგებო მართვის პანელის საჰაეროებიდან უსინათლოს სახისა და ხელებისკენ დაუბერავს სხვადასხვა ტემპერატურისა და ინტენსივობის ჰაერი, რაც მას შემხვედრი დაბრკოლების შესახებ მიანიშნებს. ასე რომ, დაველოდოთ ამ ავტომობილის ბაზარზე გამოჩენას. იმედია, ამერიკელების ეს გამოგონება მალე დაინერგება და უსინათლო დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ შეძლებს ავტომობილის მართვას. ■

უმკლავებო პიანისტმა პირველობა არავის დაუთმო



„უმკლავებო პიანისტმა“, რომელიც ფეხის თითებით უკრავდა პირველობა არავის თაუთმო.

გადაცემა„ნიჭიერის“ ჩინურ ვერსიაში გამაჯვებული, 23 წლის ლუი ვეი გახდა, რომელიც 10 წლისა იყო, როცა საგზაო შემთხვევის შედეგად მკლავები დაკარგა და პიანინოს ფეხის თითებით უკრავს.

მარტოდმარტო მცხოვრები ინგლისელი ქალის გვამი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ აღმოაჩინეს

2003 წლის იანვარში გარდაცვლილი ჯოის ვისენტის გვამი, რომელიც ტელევიზორის წინ სავარძელში ესვენა, ინგლისის პოლიციამ 2006 წელს აღმოაჩინა. გასაოცარია ისიც, რომ ტელევიზორი კვლავ ჩართული იყო. ექსპერტიზის დასკვნით, ჯოის ვისენტი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. პოლიციამ გარდაცვალების თარიღი იმ საშობაო საჩუქრების მიხედვით ივარაუდა, რომელიც კვლავ გაუხსნელი იყო და სავარძლის გარშემო ეყარა. ამასვე ამტკიცებს, საფოსტო ყუთში არსებული წერილები, ჯოის ვისენტის სტომატოლოგთან არსებული ჩანაწერები და მაცივარში არსებული პროდუქტები, რომელთაც მოხმარების ვადა 2003 წლის თებერვალში ეწურებოდა.

ესეც ჩინეთის კოსმოსზვერავის ახალი პროექტი...

ჩინეთი ახლა უკვე საკვირველებით მოცული, უცნაური პროექტის განსახორციელებლად იღწვის.

დღეს უკვე, პეკინი „ფოსტალიონი მტრედები“-ს გაწვრთნის საკვირველებით მოცული პროექტის „ექსპლუატაციაში“ შეყვანით არის დაკავებული.

ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო არხის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის ჯარმა გასულ წელს, „რეზერვისტი მტრედების ჯარის“ შესაქმნელად 10,000 მტრედი საწვრთნელად აიყვანა. პეკინის მიზანია, თუკი მოსალოდნელი ომის ვითარებაში, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება შეუძლებელი გახდება, აღნიშნულ პერსპექტივა ჯარის კოვენციური კავშირგაბმულობის საშუალებად გამოიყენოს. სახელმწიფო ტელევიზიაში, სიტყვით გამოსული ჯარების სპეცსამსახურის წარმომადგენელის ***ჩენ ჰონგის*** თქმით, მტრედებს ხმელეთსა და ოკეანეებზე დაბანაკებულ სამხედრო შენაერთებს შორის კავშირის დამყარება შეეძლებათ. ინფორმაციის მიხედვით, გაწვრთნილი მტრედები ჩინეთის სამხრეთბ - დასავლეთის ტერიტორიაზე, ჰიმალაების კალთებზე, ძალიან შორს ან მთიან ტერიტორიებზე განლაგებულ საკავშირო ბაზებზე გაიგზავნებიან. მტრედები ისე გაიწვრთნებიან, რომ თავისუფლად შეძლებენ საათში 120 კმ, სიჩქარით იფრინონ და დაახლოებით 100 გრ სიმძიმის ტვირთის ტრანსპორტირება მოახდინონ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში, მტრედებს გასართობადაც იყენებენ. მტრედების გამოკვება და მათი შეჯიბრი მოსახლეობის საშუალო ფენაში საკმაოდ გავრცელებული ჩვევაა. უნდა ითქვას, რომ იანვრის თვის მიწურულს, ერთ-ერთმა ჩინელმა, ბელგიურ მარულა მტრედში რეკორდული თანხა, 200,000 ამერიკული დოლარი გადაიხადა.

სუდოკუ

მოამზადა გიორგი ჯამლაძემ

შეავსეთ სუდოკუ ისე, რომ გამოტოვებულ უჯრებში ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ოღონდ არცერთ ჰორიზონტალურ მწკრივში, ვერტიკალურ სვეტში და კვადრატში, რომლებიც 9 უჯრისაგან შედგება, არ უნდა იყოს ორი ერთნაირი ციფრი.

მარტივი

	8	4			5		7	
9	3	6	1		7	5		4
				6	4		3	8
	5				9		6	
	2	8		1	3	4	9	7
	4	9		1	6	8		1
4			6				1	5
5	6	3	4	9		7	8	
	1	7	3	5			4	

რთული

					3			
8			1	9			6	4
	7	2				1	3	
3			9			4	2	
	1		2	3				
					8		7	3
		1					5	9
5	8		6			3	1	
	9		5					

ამოხსნა

მარტივი

1	8	4	2	3	5	6	7	9
9	3	6	1	8	7	5	2	4
2	7	5	9	6	4	1	3	8
7	5	1	8	4	9	2	6	3
6	2	8	5	1	3	4	9	7
3	4	9	7	2	6	8	5	1
4	9	2	6	7	8	3	1	5
5	6	3	4	9	1	7	8	2
8	1	7	3	5	2	9	4	6

რთული

1	4	6	7	5	3	9	8	2
8	3	5	1	9	2	7	6	4
9	7	2	8	4	6	1	3	5
3	5	8	9	6	7	4	2	1
4	1	7	2	3	5	6	9	8
6	2	9	4	1	8	5	7	3
7	6	1	3	8	4	2	5	9
5	8	4	6	2	9	3	1	7
2	9	3	5	7	1	8	4	6

საბავშვო გვერდი

საბავშვო რუბრიკა მომზადეს გელა გოგიტიძემ და თემურ გორგაძემ

38 - საბავშვო ტესტები

38 - ლამირინთი

39 - რისთვის გამოიყენებენ ცხოველები ჯოხს?

39 - იპოვეთ 7 განსხვავება!

40 - აბა გამოიცანით!

საბავშვო ტესტები

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის ბუნებრივი კატაკლიზმი?
   ა. მიწისძვრა ბ. ზვავი
   გ. წყალდიდობა დ. ატომური აფეთქება

2. რომელმა ანგელოზმა წაუკითხა უკეთილშობილეს მუჰამმედ შუამავალს ﷺ ჰირას გამოქვაბულში პირველი ხუთი აიათი?
   ა. აზრაილი გ. მიქაილი
   ბ. ისრაფილი დ. ჯებრაილი

3. თუკი წყალს ხელოვნურად გავყინავთ, ქვემოთ მოცემული თვისებიდან რომელი არ შეიცვლება?
   ა. შოტყლობა ბ. ფორმა
   გ. მასა დ. ტემპერატურა

4. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელმა განიცადა მარცხი პირველ მსოფლიო ომში?
   ა. იტალია ბ. საფრანგეთი
   გ. ინგლისი დ. გერმანია

5. ქვემოთ მოცემული მთებიდან, რომელი არ მდებარეობს ჩვენს ქვეყანაში?
   ა. კავკასიონი ბ. მტირალა
   გ. ლიხი დ. ჰიმალაი

6. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელი არ ესაზღვრება საქართველოს?
   ა. აზერბაიჯანი ბ. თურქეთი
   გ. სომხეთი დ. საბერძნეთი

პასუხები იხილეთ მე-40-ე გვერდზე

დაეხმარეთ იხვს გადალახოს რთული ლაბირინთი და მოინახულოს თავისი მეგობარი

რისთვის გამოიყენებენ ცხოველები კუდს?

ცხოველები კუდის ქნევით გვატყობინებენ, თუ რას გრძნობენ.

ნიანგები კუდის ძლიერი მოქნევით მტრებისგან თავს იცავენ.

ფარშევანგისთვის კუდი სილამაზის სიმბოლოა.

ცივ ქვეყნებში ბინადარ ცხოველების კუდი მათთვის გათბობის ერთ-ერთი საშუალებაა.

თევზები კუდის დახმარებით ცურვის დროს წყალს აპობენ

კენგურუ კი, კუდის საშუალებით წონასწორობას ინარჩუნებს.

ხოლო რაც შეეხება შინაურ ცხოველებს, ისინი კუდით მწერებს იგერიებენ.

იპოვეთ სურათებს შორის 7 განსხვავება

აბა გამოიკანით!

ცხრილში მოცემულია, აზიის 10, სამხრეთ აფრიკის 1 და ევროპის 4 (სულ 15) ქვეყნის დედაქალაქების სახელწოდებები, თქვენი მიზანია, იპოვოთ ისინი

ი	დ	ა	ბ	ა	მ	ა	ლ	ს	ი
ა	ბ	უ	დ	ა	ბ	ი	წ	ჭ	კ
ჭ	ე	ი	ტ	ნ	ე	კ	შ	ა	ტ
წ	ლ	ყ	პ	ტ	ჭ	თ	წ	თ	ო
ყ	გ	კ	ლ	დ	ჟ	ე	ტ	ე	კ
ე	რ	რ	ი	ა	დ	ი	წ	ნ	ი
ტ	ა	ჟ	ჩ	მ	ო	რ	ი	ი	ო
ლ	დ	ძ	ც	ა	ჰ	ა	ნ	ლ	ყ
ა	ი	ფ	ო	ს	ა	ნ	ა	ყ	ტ
მ	ი	ნ	ს	კ	ი	ი	მ	წ	ჭ
პ	რ	ე	ტ	ო	რ	ი	ა	ძ	კ

38-ე გვერდზე განთავსებული ტესტების პასუხები

1. დ 2. დ 3. გ 4. დ 5. დ 6. დ